ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ცოლს დაურეკა, აღარ დავბრუნდები და ბავშვებს მიმიხედეო







გვ.7

ხაშურში ახალგაზრდა მამაკაცი მამამ ხეზე ჩამოკიდებული იპოვა

12 ივნისიდან

როს მაკდონალდი

შიში

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




სამშაბათი,12 ივნისი, 2018 №137 (7682) ფასი: 50 თეთრი

# „ქართულ ოცნებას“ ლევან ხაბეიშვილი უკვე ორად ეჩვენება



გვ.3

ირაკლი კობახიძე: „ნიკა მელია არ დაუკავებიათ, ის რუსთაველის გამზირიდან განარიდეს“







გვ.2

## მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მიწა რომ გამომაცალონ, ბრძოლას მაინც გავაგრძელებ!“

რუსთაველი პოლიციამაც გადაკეტა

## ზვიად კუპრავა 14 დღეს საპატიმროში გაატარებს



გვ.3

## „პოლიციის მიერ ნაცემ ნინო კვიტაიშვილს ტრავმატოლოგმა მამაგეიშვილმა სამედიცინო დახმარებაზე უარი უთხრა“



გვ.2

ნიკა გვარამია ინგოროყვას კლინიკისგან ზომების მიღებას მოითხოვს



გვ.4

## გია ვოლსკი: „ნაციონალებმა ანტისახელმწიფოებრივი ტრენდი ვერ შეცვალეს“

სამართალი გვ.7

## „თემირლან მაჩალიკაშვილის ოთახიდან ამოღებულ ხელყუმბარაზე მისი თითის ანაბეჭდი არ ფიქსირდება“



## სანდრო გირგვლიანის საქმეზე ვასილ სანოძე დაიკითხა



## ზვიად დევდარიანი პატივისა და ღირსების შელახვისთვის 11 პირს და ტაბულას უჩივის



ეკონომიკა გვ.6



## 6 წელიწადში ქართველებმა აზარტულ თამაშებში 9 მილიარდზე მეტი დახარჯეს!



## „საქნახშირი“ წლებია მოგების გარეშე მუშაობს — კომპანია შესაძლოა ბაზრიდან გავიდეს



გვ.5

## ეკა ბესელია: „QNET-თან არანაირი კავშირი არ მაქვს“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 „ენგურჰესი“ მძიმე მდგომარეობაშია, შეიძლება რეგიონში გამოუსწორებელი უბედურება დატრიალდეს“

5 „ლავროვს გიგა ბოკერიას საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა უნდოდა“

7 სასამართლომ მერაბ მორჩაძე პატიმრობაში დატოვა

5 გიორგი გაჩეჩილაძე: „მოგვეცა საშუალება, რომ ძვირი ფული ჩვენთვის იაფი ყოფილიყო“

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მიწა რომ გამომაცალონ, ბრძოლას მაინც გავაგრძელებ!“

## რუსთაველი პოლიციამაც გადაკეტა

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე წლის წინ მიხეილ მაჭავარიანმა „ახალ თაობასთან“ საუბარში ასეთი რამე განაცხადა: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომების ჩამონათვალი დაგვრჩა და მას ქოცები შპარგალკად იყენებენ. მისი თქმით, „ოცნება“ ცოტა ხანში არც აქციების დარბევას მოერიდება.

მიხეილის წინასწარმეტყველება დაგვიანებით, მაგრამ მაინც ახდა – 11 ივნისს სამართალდამცავებმა შვილმოკლული მამების აქცია დაარბიეს. მართალია წინა ხელისუფლების მსგავსად მხუთავი გაზი, ზონდერები და წყლის ჭავლი არ გამოუყენებიათ, მაგრამ დარბევა მაინც შედგა და რამდენიმე ათეული ადამიანი დააკავეს.

მოგეხსენებათ, რომ 10 ივნისს საღამოს, აქციის მონაწილეებმა პარლამენტის წინ მდებარე კარვები გზის სავალ ნაწილზე გადაიტანეს. პოლიციამ ეს კარვები გუშინ, 11 ივნისს დილით უკან დააბრუნა. რამდენიმე საათში კი ეს კარვები საერთოდ დაშალა.

კარვების დაშლის გარდა, პოლიციამ პარლამენტთან ბანერიც აიღო. ბანერზე ეწერა – ნუ მომკლავ.

აქციის დარბევას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. „ოცნების“ მხარდამჭერები სოციალურ ქსელში ღიად გამოხატავდნენ სიხარულს აქციის დაშლის გამო. ნაციონალები კი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი საშინელება მათ დროსაც კი არ მომხდარა.

მათ დროს აქციების დაშლა ბევრად სისხლიანი მეთოდებით ხდებოდა, მაგრამ იმ სისხლიანი 9 წლის მანძილზე სააკაშვილს შვილმოკლული მშობლების აქცია არასდროს დაურბევია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მან თითქმის 40 დღის მანძილზე აიტანა საკნებით გადაკეტილი რუსთაველი.



აქციის მონაწილეები და ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ მათ ივანიშვილი ვერ შეაშინებს.

შვილმოკლული მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი ამბობს, რომ ის პროტესტს კარვების გარეშეც გამოხატავს.

– კარვები აიღონ კი არა, მიწა რომ გამომაცალონ ფეხქვეშ, ბრძოლას მაინც გავაგრძელებ, – ამბობს მაჩალიკაშვილი.



ამბობს, რომ ხელისუფლების დამსახურებაა, ის სამართალს ქუჩაში დგომით რომ ეძებს.

მაჩალიკაშვილმა იმის გამოც გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ხორავას ქუჩის საქმეზე შექმნილ დროებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაში მისი შვილის დაღუპვაზე არ საუბრობენ.

– შექმნილი ხომ იყო საგამოძიებო ჯგუფი, საერთოდ, სიტყვას არ ახსენებენ თემირლან მაჩალიკაშვილზე. დაპირება იყო, მაგრამ რეაგირება არაა. დამპირდა გიორგი კვირიკაშვილი, რომ ყველაფერს გააკეთებს ამ საქმის გამოძიებისთვის და მას შემდეგ არავინ დაგვკავშირებია. უნდა განხილული ყო მაჩალიკაშვილის საქმეც. ეს არის პირდაპირ სახელმწიფოს დანაშაული, ისეთი დანაშაული, რომლის გამოსწორება არ შეიძლება, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

მალხაზ მაჩალიკაშვილის განცხადებით, შვილის სიკვდილზე უფრო ძნელი გადასატანი აღმოჩნდა თემირლან მაჩალიკაშვილის ტერორიზმში დადანაშაულება.

მან რამადანის დასრულების შემდეგ პანკისში აქციების დაწყება დააანონსა.

კარვების დაშლას სახალხო დამცველი ნინო ლომჯარიაც გამოეხმაურა. მისი თქმით, კარვების დაშლა ტროტუარზე იყო არაპროპორციული ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში.

– ისე სწრაფად ვითარდება მოვლენები, რთულია ყველაფრის შეფასება, მაგრამ, ამ დროისთვის, მიგვაჩნია, რომ კარვების დაშლა ტროტუარზე იყო არაპროპორციული ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში; შსს-მ უნდა გამოაქვეყნოს ყველა დაკავებული პირის შესახებ ინფორმაცია, ვინ და რა მუხლითაა დაკავებული, სათითაოდ ვარკვევთ და სრული სურათი არ გვაქვს; ყველას შეუძლია მოგვმართოს, მათი დაკავების კანონიერების შესასწავლად; ჩვენი წარმომადგენლებიც იმყოფებიან ადგილზე და აკვირდებიან ვითარებას; სასამართლოს სამზარეულოში მომხდარ ინციდენტზე უნდა დაიწყოს საქმის შესწავლა, მოწმეთა ჩვენებებზე და არსებულ ვიდეომასალებზე დაყრდნობით, უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში დადგეს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობა, – ასე გამოეხმაურა სახალხო დამცველი კარვების დაშლას.

უფრო ადრე მან კომენტარი გააკეთა გზის სავალ ნაწილზე კარვების გადატანაზე. მისი თქმით, ტრანსპორტისთვის გზის გადაკეტვა პროტესტის ნიშნად იმ მოსახლეობას აზარალებს, ვინც იქ გადაადგილდება.

11 ივნისის კარვების დაშლამ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს 2007 წლის 7 ნოემბერი გაახსენა.

– ის რასაც მთავრობა ახლა პოლიციას აკეთებინებს, არის მარაზმი და უტვინობა. სარალიძის ტკივილს ამით ვერ ჩაახშობ. ხალხს ამით უფრო გააბრაზებ.

პ.ს. 7 ნოემბრის დილაც ეგრე დაიწყო, – დაწერა გიგი უგულავამ სოციალურ ქსელში.

სოციალური ქსელით გამოეხმაურა რუსთაველზე მიმდინარე მოვლენებს საქართველოს მესამე პრეზიდენტიც.




– ივანიშვილმა თავისი მოპარული მილიარდების დასაცავად გადაწყვიტა პუტინის მეთოდების გამოყენება. ამისთვის იყენებს მოსკოვიდან ჩამოყვანილ ვამპირ გახარიას და სუსის 100 კაცს, რომელთაც ყოველთვიურად ხელზე უხდის ხელფასს.

ნუ შეგეშინდებათ მათი! მათ არაფერი ამაგრებთ შეშინებული ხალხის გარდა! მათი აღსასრული ძალიან ახლოა! – წერს მიხეილ სააკაშვილი.

„ახალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ხელისუფლებას პირობა მისცა, რომ ამ ძალადობას არ შეარჩენს.

– მივმართავ ხელისუფლებას, ეს არ შეგრჩებათ, საქართველოში ძალადობა არავის გასვლია, – აღნიშნა ვაშაძემ.

რამდენიმე განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემაც. ირაკლი კობახიძემ თავდაპირველად თქვა, რომ ძალის გამოყენება ხელისუფლების პრეროგატივაა.

მოგვიანებით კი თქვა, რომ მათი ამოცანა ისაა, რომ საერთოდ არავინ არ დაარბიონ.

– სამწუხაროდ, წარსულზე საუბარი ხშირად გვიწევს, რაც ნამდვილად არ არის კარგი. სჯობს, წინ გავიხედოთ და დღევანდელობაზე და მომავალზე ვისაუბროთ; ეს არის ნამდვილად უკეთესი. სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ მაინც გვიწევს საუბარი 9 წელი, 6 წელი და ა.შ. შედარებაც არასწორია წინა 9 წელთან.

ჩვენ არ უნდა ვიყოთ იმ 9 წელზე უკეთესი, ეს იქნებოდა ნამდვილად არაადეკვატური და არაამბიციური მიზანი. ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ იმ 9 წელზე უკეთესი ვიყოთ, ამოცანა ის კი არ არის, რომ მიტინგის დარბევის დროს 6 კაცის მაგივრად 3 კაცი შემოგვაკვდეს, ამოცანა არის ის, რომ საერთოდ არ დავარბიოთ აქცია და არ მოკვდეს არავინ ძალის გამოყენებით.

ამოცანა ის კი არ არის, რომ ადამიანის უფლება დაირღვეს, მაგრამ იმაზე ნაკლებად, ვიდრე თქვენ არღვევდით, ამოცანა ისაა, რომ საერთოდ არ დავარღვიოთ ადამიანის უფლებები, ეს არის სტანდარტი. ამოცანა ის კი არ არის, რომ დეპუტატი არ შემოგვაკვდეს და არ ვცემოთ, ამოცანა ისაა, რომ საერთოდ არ შევეხოთ პარლამენტის არც ერთ წევრს. მე ნამდვილად მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ ყველა საკითხზე განსაკუთრებით ამახვილებთ ყურადღებას, ეს არის ოპოზიციის ამოცანა, – განაცხადა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე კობახიძემ.

* * *

აქციის დაშლის და კარვების აშლიდან რამდენიმე საათში რუსთაველზე ასეულობით პოლიციელი მიიყვანეს. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე კი სპეცდანიშნულების რაზმი იყო მობილიზებული.

დეპუტატ ნიკა მელიას განცხადებით, რუსთაველზე 3.000 პოლიციელი იყო მობილიზებული.

– არ ვიცი, დაახლოებით 3.000 პოლიციელია მობილიზებული, გადაკეტილი აქვთ შემომავალი გზები, პარლამენტის ეზო სავსე არის შესაბამისი ტექნიკით, აკავებენ მაჩალიკაშვილის და სარალიძის მხარდამჭერ ადამიანებს და არ აკავებენ მკვლელებს, სისულელეებს სისულელეებზე სჩადიან, – განაცხადა მელიამ.

მისივე თქმით, ხელისუფლება, რომელიც რეალურ დამნაშავეებს ვერ ებრძვის, პოლიციას სამართლიანობის დასადგენად გამოსული ხალხის წინააღმდეგ იყენებს.

მელიას აინტერესებს, ხელისუფლებას თუ ამდენი პოლიციელი ჰყავდა თბილისში, როგორ მოიტაცეს აზერბაიჯანელებმა აფგან მუხთარლი.

– დამნაშავეები და მკვლელები ვერ დაიჭირეს და ამდენი პოლიციელი თუ გვყავს თბილისში, მუხთარლის შუაგულ თბილისში რომ ტომარა ჩამოაცვეს და უცხო ქვეყანაში გადააგდეს, და ყველა კამერა წაიშალა, ეს ადამიანები სად იყვნენ მაშინ? – განაცხადა ნიკა მელიამ.

# „პოლიციის მიერ ნაცემ ნინო კვიტაიშვილს ტრავმატოლოგმა მამაგეიშვილმა სამედიცინო დახმარებაზე უარი უთხრა“

## ნიკა გვარამია ინგოროყვას კლინიკისგან ზომების მიღებას მოითხოვს

გუშინ საღამოს ნიკა გვარამიამ ფეისბუქში დაწერა:

„ნინო კვიტაიშვილი ჩემი პირადი ახლო მეგობარია. ჰოდა, პირადად გავუმწარებ სიცოცხლეს ტრავმატოლოგ მამაგეიშვილს, რომელმაც მისი პარტიული კუთვნილების გამო, უარი თქვა პოლიციის მიერ ნაცემი ნინოსთვის სამედიცინო დახმარების გაწევაზე.

ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკა გირჩევთ, თქვენით მიიღოთ ადეკვატური გადაწყვეტილება და ეგ ჰიპოკრატეს ფიცის დამრღვევი ნაბიჭვარი დროზე მოაშოროთ მაქედან. არა და – თქვენ თავს დააბრალეთ!“

ამაზე ინგოროყვას კლინიკამ ნიკა გვარამიას ასე უპასუხა:

„ბატონო ნიკა, პაციენტს ჩაუტარდა ყველა საჭირო დიაგნოსტიკური გამოკვლევა და გაეწია შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

პაციენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ექიმთან შექმნილი ვითარების შესახებ განიხილება კლინიკის ბიოეთიკის საბჭოზე და დაუყოვნებლივ იქნება მიღებული შესაბამისი ზომები. კლინიკის ადმინისტრაცია ბოდიშს იხდის შექმნილი უხერხულობის გამო და კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ პაციენტს უტარდება ყველა საჭირო სამედიცინო სერვისი.“

კლინიკის პასუხს გვარამიას ახალი პოსტი მოჰყვა:

„შესაბამისი ზომებია გათავისუფლება ჰიპოკრატეს ფიცის გატეხვისთვის. უფრო ფუნდამენტურ გადაცდომას ექიმი ვერ ჩაიდენს.“

მოგვიანებით ფეისბუქში პოსტი თავად ნინო კვიტაიშვილმაც გამოაქვეყნა:

„სრულად ვადასტურებ აღნიშნულს და ვარ შეურაცხყოფილი.?

1. შვილმკვდარ მამებს დღეს სულში ჩააფურთხეს!

2. ძალადობა, რომელიც ჩემს მიმართ განხორციელდა შსს-ს მხრიდან!

3. „ექიმი“ მამაგეიშვილი პასუხად ჩემს ნაციონალური მოძრაობის წევრობაზე მპასუხობს, რომ „მეტის ღირსი ვარ“!

პ.ს. გამოვეწერე კლინიკიდან, მაგრამ იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ ფორმა 100 შეივსება კოდის „ძალადობა“ დაცვით, რომლითაც გადამიყვანა სასწრაფომ. მიუხედავად ამ კოდისა, პატრული გამოსაკითხად არ მოსულა!“



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზვიად კუპრავა 14 დღეს საპატიმროში გაატარებს

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ ბოლო დროის ყველაზე სერიოზული თავის ტკივილი, ზვიად კუპრავა, 2 კვირით განეიტრალებულია. სასამართლომ მას და რუსთაველის გამზირზე მასთან ერთად დაკავებულ 3 პირს 14-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლოს დაკავებულები არ ესწრებოდნენ, მათ სხდომათა დარბაზი განაჩენის გამოცხადებამდე პროტესტის ნიშნად დატოვეს.

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ლაშა ცუცქირიძეც დააკავეს. ეს ადამიანი ჩვენმა საზოგადოებამ ცოტა ხნის წინ გაიცნო, მას ყველა კაა-ს ეძახის. განაჩენის გამოცხადების შემდეგ, მისმა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა სოციალურ ქსელში სინანულით დაწერა, რომ კაა-ს კააპეზეში მოუწევს რაღაც დროის გატარება.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა მიიჩნევს, რომ მისი დაკავების ბრძანება პირადად გიორგი გახარიამ გასცა.

ეს განცხადება ზვიად კუპრავამ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე გააკეთა.

როგორც სასამართლო პროცესზე ზვიად კუპრავამ განაცხადა, ხელისუფლება მის ჩამოშორებას ცდილობს.

– ჩემი დაკავების გადაწყვეტილება მიიღო პირადად მინისტრმა. ჩემი დაკავება არის პოლიტიკური, ხელისუფლებას სურს, მე ჩამოვშორდე ამ პროცესებს. ამას ემსახურება შავი პიარიც სამთავრობო არხებიდან, – განაცხადა კუპრავამ.

სასამართლოზე გამოცხადებულ შესვენებაზე მან მედიასთან დაკავების დეტალებზე ისაუბრა.

– დილას გავედით 8-კაციანი ჯგუფი დაახლოებით, მივედით ჭანტურიას ქუჩის კუთხეში, სადაც ბიოტუალეტია, მოვიდა კუპატაძე, რა დღეში ხარ, ბიჭო, შენო, თანმხლებ პირებთან ერთად და დამაკავეს.

ჩვენი პასუხი იყო მშვიდი, გაწონასწორებული. თემურ კუპატაძე 50 კაცთან რომ დავინახე, ზუსტად ვიცოდი, რომ დაკავებას მიპირებდნენ. ცდილობდა, პროვოკაციულ თემებზე წამოვეგე და მიეცა სამართლებრივი საფუძველი ჩემი დაკავებისთვის, რაც მე არ მიმიცია, – აღნიშნა კუპრავამ.

მისივე თქმით, მომხდარს ჰყავს თვითმხილველები და არსებობს პატრულის სამხრე კამერების ჩანაწერიც.

ამ ჩანაწერების წარმოდგენა კუპრავამ სასამართლო პროცესზეც მოითხოვა. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა მწუხარება გამოთქვეს იმის გამო, რომ იმ მომენტში, როცა სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი დააკავეს, მათი სამხრე კამერები დამჯდარი იყო.

ამან კუპრავას ადვოკატს, ლევან დავითაშვილს სერიოზული კითხვები გაუჩინა.

– ასეულობით საპატრულო პოლიციას არც ერთს არ გააჩნია ჩანაწერი. ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც მეტ-ნაკლებად არის ჩახედული საპატრულო პოლიციის მუშაობაში, ყველამ ვიცით, რომ საპატრულო პოლიცია ამით ადასტურებს თავის ქმედებებს. ამ შემთხვევაში წარმოგიდგენიათ თქვენ, რომ ასი პოლიციის თანამშრომელია, რომელიც ესწრებოდა ამ პროცესს და არც ერთს არ ჰქონია სამხრე კამერების ჩანაწერი, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.



სასამართლო პროცესზე ესწრებოდა კუპრავას მეგობარი ზაზა სარალიძეც. მას შემდეგ, რაც მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა, ისინი სასამართლოს სასადილოში შევიდნენ.

მათ ჭამა და მშვიდად საუბარი არ აცალეს. მოულოდნელად სასადილოში სამართალდამცავები შემოვიდნენ და კუპრავას სასამართლო დარბაზში დაბრუნება მოსთხოვეს.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა პოლიციელებს უთხრა, რომ მისთვის ჭამის დამთავრების საშუალება მიეცა. ამაზე სამართალდამცავებს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ.

მომხდარს ზაზა სარალიძე ასე აღწერს:

– 3 საათამდე მოგვცა მოსამართლემ დრო. დავჯექით, ვჭამდით. დაგვამხეს პოლიციელებმა ყველაფერი. მოსამართლემ გამოგიძახაო, ზვიად კუპრავას მოსთხოვეს, ერთი წუთი დამაცადე ჭამაო და დაგვამხეს ყველაფერი თავზე. აი, გახარიას უწყება!!! სულ ყველა მკვლელები ხართ. ხალხო, ტვინი არ გაქვთ თავში არც ერთს, ელემენტარული საჭმლის ჭამა არ გვაცალეს

შვილმოკლული მამა ამ ფაქტით ძალიან აღშფოთებული იყო და მან შს მინისტრის გადადგომა კიდევ ერთხელ მოითხოვა.

სარალიძე ამბობს, რომ შს მინისტრმა მასზე ნადირობა დაიწყო. ზვიად კუპრავას დაკავება და მისთვის პატიმრობის შეფარდება წინასწარ განზრახული ქმედებაა. მიზანი კი ისაა, რომ კუპრავა და მისი მეგობრები აქციებს ვერ დაესწრონ.

– ეს იყო წინასწარ გაწერილი. მიზანი არის კუპრავას და ჩემი მეგობრების დისკრედიტაცია, რომ ისინი ველარ დაესწრონ აქციას, – განაცხადა პირველ რადიოსთან საუბარში ზაზა სარალიძემ.

# „ქართულ ოცნებას“ ლევან ხაბეიშვილი უკვე ორად ეჩვენება

## ირაკლი კობახიძე: „ნიკა მელია არ დაუკავებიათ, ის რუსთაველის გამზირიდან განარიდეს“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა იმდენი იაქტიურა, რომ ხელისუფლებას უკვე ორად ეჩვენება. ხელისუფლების წყალობით კი, უკვე ერსაც ველარ გაურკვევია, ხაბეიშვილი ერთია თუ რამდენიმე.

გუშინ, 11 ივნისს, რუსთაველზე პოლიცია ნაციონალებს დაერია. მათ პარლამენტის წევრი ნიკა მელია და თბილისის საკრებულოს დეპუტატი ირაკლი ნადირაძე დააკავეს.

დაკავების დროს ორივე მათგანს შეურაცხყოფა მიაყენეს. ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზაალ უდუმაშვილი ამბობს, რომ ნიკა მელიას წიხლებით შედგნენ სამართალდამცავები. საკრებულოს დეპუტატი ნადირაძე ამბობს, რომ მას და მელიას პოლიცია ყელში სწვდა.



შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადებაში ლევან ხაბეიშვილის დაკავების შესახებაც გაავრცელა ინფორმაცია. იმ დროს, როცა შსს-ს წარმომადგენელი მისი დაკავების შესახებ იუწყებოდა, ხაბეიშვილი ერთ-ერთ არხზე პირდაპირ ჩართვაზე იყო და ხელისუფლებას გმობდა.

მას შემდეგ, რაც დაუკავებელმა ხაბეიშვილმა თავისუფლებაში დარჩენა დაადასტურა, შსს-მ მორიგი განცხადება გაავრცელა. მან ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ტექნიკური შეცდომა უწოდა.

ლევან ხაბეიშვილი ფიქრობს, რომ ის დასაჭერთა სიაში იყო და შსს-ს ტექნიკური შეცდომა გაეპარა.

– შსს-მ სავარაუდოდ წაიკითხა ის სია, რომელიც წინასწარ ჰქონდათ გადაცემული, თუ ვინ უნდა დაეკავებინათ. აღმოჩნდა, რომ ხაბეიშვილზე უთხრეს, დააკავეთო და არ დავუკავებივარ. იქ რომ შარვალ-კოსტიუმი ჩაიცვა კაცმა და მოყვა, ხაბეიშვილი დავაკავეო, საიდან და ვინ დაუწერა, რომ მე ვიყავი იმ სიაში, მართლა ვერ გავარკვიე. ეს ხალხი თუ ასე მუშაობს და ასე აპირებს ამ საქმეების გამოძიებას, რა თქმა უნდა, ვერასდროს ბოლოში ვერ გავლენ, – განაცხადა დაკავებულად გამოცხადებულმა, მაგრამ თავისუფლებაში მყოფმა ლევან ხაბეიშვილმა.

მისი კოლეგა და თანაპარტიელი ირაკლი ნადირაძე მართლა იყო დაკავებული. ის პატიმრობიდან ხელწერილის დაწერის შემდეგ გაათავისუფლეს.

მისი დაკავების კადრები მთელმა საქართველომ ტელევიზიით იხილა. ნადირაძემ თავისი დაკავების მიზეზიც ტელევიზიით გაიგო.

– ამ აქციაზე, როგორც რიგითი მოქალაქე, როგორც ოთხი შვილის მამა, ისე ვიმყოფები და მხარს ვუჭერ შვილმკვდარ მამებს, შვილმოკლულ მამებს. მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა განახორციელეს მასირებული შეტევა, ვნახე, ფაქტიურად როგორ ახრჩობდნენ პარლამენტის დეპუტატს, ზუსტად იგივე მეთოდით ვიღაც მომეპარა, ყელში მომიჭირა ხელი და ოთხმახუთმა თანამშრომელმა გადამიყვანა. ჩამსვეს მანქანაში და არ განმიმარტეს, რატომ მაკავებდნენ.

ამის შემდეგ ალექსანდროვის ბაღთან გააჩერეს მანქანა და 40 წუთი არკვევდნენ, დაკავებული ვიყავი თუ არა, – აცხადებს ნადირაძე.



საკრებულოს დეპუტატი შსს-გან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

ხაბეიშვილის მსგავსად, გაურკვევლობაში აღმოჩნდა პარლამენტის წევრი ნიკა მელია. მართალია, ის დააკავეს, მაგრამ შს მინისტრი ამბობს, რომ ეს დაკავება არ ყოფილა.

არადა მისი გათავისუფლების მოთხოვნით საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმაც კი გააკეთა განცხადება. დავით ბაქრაძემ პარლამენტის სპიკერს მოსთხოვა, რომ ყველაფერი გაეკეთებინა, რათა დეპუტატი გაეთავისუფლებინათ.

– სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია გამოხატვის და პროტესტის თავისუფლების შეზღუდვა იმ ფორმით, როგორც ეს 11 ივნისს რუსთაველის გამზირზე გააკეთა შსს-მ.



ქუჩის ფეხით სავალ ნაწილზე განლაგებული კარვების აღება ვერანაირად ვერ გამართლდება წესრიგის დამყარების მოტივით და შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ საზოგადოების დაშინებას ძალის ჩვენებით და ამ გზით სამართლიანი საპროტესტო მუხტის ჩახშობას, რომელიც ქვეყანაში არსებობს ზაზა სარალიძის საქმესთან დაკავშირებით. კატეგორიულად ვგმობთ პარლამენტის წევრის უკანონოდ დაკავებას პარლამენტის ნებართვის გარეშე -– როგორც უმცირესობის ლიდერი, მივმართავ პარლამენტის თავმჯდომარეს და მოვითხოვ, დაუყოვნებლივ ჩაერიოს და გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილება ნიკა მელიას უსწრაფესად გასათავისუფლებლად.

ხელისუფლების ქმედებებმა კიდევ უფრო მეტად გამოაჩინა ძირეული ცვლილებების და უსამართლო სისტემის დანგრევის აუცილებლობა, რასაც ითხოვს ზაზა სარალიძე და ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი. როგორც საპარლამენტო უმცირესობა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯოს და უსამართლო სისტემა დაინგრეს, – ეს განცხადება დავით ბაქრაძემ იმ დროს გააკეთა როცა ნიკა მელია სამართალდამცავებს ჰყავდათ დაკავებული.

რუსთაველზე დატრიალებული ამბების შემდეგ, პარლამენტის სპიკერი მართლაც შეხვდა შს მინისტრს, რომელმაც შთააგონა, რომ ნიკა მელია კი არ დააკავეს, არამედ განარიდეს რუსთაველის გამზირს.

– მე მქონდა შეხვედრა მინისტრთან და მისგან მივიღე განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით. საქმე იყო შემდეგში – ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევას, კანონის მოთხოვნათა დარღვევას და იმისათვის, რომ აღკვეთილიყო სამართალდარღვევა, საჭირო იყო პარლამენტის წევრის განრიდება ადგილიდან. დავინტერესდი, ადგილი ჰქონდა თუ არა დაკავებას და მივიღე განმარტება, რომ ადგილი ჰქონდა განრიდებას, რათა იქ მიმდინარე პროცესი არ გადაზრდილიყო რაიმე სხვა ტიპის სამართალდარღვევაში. მოხდა გადაყვანა სხვა ლოკაციაზე, ერთ-ერთ განყოფილებაში და ამის შემდეგ ის მყისიერად იქნა გათავისუფლებული. ასეთი განმარტება მივიღე შს მინისტრისგან, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

დღის ბოლოს განმარტებები გააკეთა განრიდებულმა ნიკა მელია. კობახიძისგან განსხვავებით, ის აცხადებს, რომ სამართალდამცავებმა დააკავეს.

– დაკავებიდან ერთ საათში აღმოაჩინეს, რომ ვიყავი დეპუტატი, ვითომ არ იცოდნენ და დაუყოვნებლივ მომხსნეს ხელბორკილები, გამოვედი, გავაჩერე ტაქსი და წავედი აქციაზე, მაგრამ ეს არ არის მთავარი, ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი არის ყველაფერზე წამსვლელი, – განაცხადა ნიკა მელიამ.

# საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 32,9%-ით შემცირდა




სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წლის I კვარტალში 279.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 32.9 პროცენტით ნაკლებია.

საქსტატის განმარტებით, შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).

2018 წლის I კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სიაში პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო – 29.6 პროცენტით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი – 18.2 პროცენტით, ხოლო მესამეზე ჩინეთი – 14.9 პროცენტით.

ამასთან, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2018 წლის I კვარტალში 78.7 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 110.6 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 69.1 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 40.2 მლნ აშშ დოლარით. ბპნ

# გია ვოლსკი: „ნაციონალებმა ანტისახელმწიფოებრივი ტრენდი ვერ შეცვალეს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გია, ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ისინი შვილმკვდარი მამების გვერდით იქნებიან და აქციებს გააგრძელებენ. თქვენ როგორ აფასებთ მიმდინარე პროცესებს?***



– ნაციონალურ მოძრაობას რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, რომ როგორმე ხალხის მობილიზება მოეხდინა სოციალურ თემებზე, საგარეო ურთიერთობათა თემებზე. ამიტომ, ეს არ არის მათი პირველი მცდელობა. თუმცა, თუ სერიოზულად გავაანალიზებთ სიტუაციას, ვნახავთ, რომ საზოგადოება აღარ იღებს ამ ფარსს. საზოგადოება უფრო ქმედით, უფრო საქმიან პაექრობას აძლევს უპირატესობას, თუნდაც პარლამენტში. ეს საზოგადოების დახვეწაზეც მეტყველებს, მაგრამ ვფიქრობ ამ საზოგადოებას ნაციონალური მოძრაობა მნიშვნელოვანწილად ჩამორჩა, რომლის ერთადერთი მიზანი და ამოცანა ტურბულენტური რყევების გამოწვევაა. ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი დაძაბულობა იყოს, რომ იქნებ ამ დაძაბულობის ფონზე რაღაც პოლიტიკურ მიზანს მიაღწიონ. როგორც ახასიათებდათ ყველაფრის მიმართ ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულება, ეს მათი ტრენდი ვერ შეცვალეს.

***– გამოუვათ რამე?***

– არა, წარმატება არ ექნებათ. ხელისუფლება, განსხვავებით იმ მოცემულობისგან, რაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს იყო, ვალდებულია არა მხოლოდ თავისი მხარდამჭერების, ნეიტრალური ხალხის მიმართ, არამედ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერი საზოგადოების მიმართ, რადგან მათ არაფერი არ დაუშავებიათ. ახლა ხელისუფლება ამას აცნობიერებს და ამ პასუხისმგებლობით არის განმსჭვალული, განსხვავებით ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებისგან.

***– ზაზა სარალიძე იუსტიციის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გახარიას გადადგომას ითხოვს. მოთხოვნები შეცვლილია, უკვე აღარ ითხოვს პრემიერ კვირიკაშვილის და მთელი მთავრობის გადადგომას. რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– შეიძლება მოთხოვნები შეცვალა, მაგრამ პირადად ხაზგასმით ვამბობ, არაფერი კომენტარი არ მაქვს ან სარკასტულად, ან ნიშნისმოგებით, რომ გუშინ ამას ამბობდა, დღეს ამას ამბობს. არც იმაზე მაქვს კომენტარი, რომ გამოძიების გარეშე, მისი მითითებით უნდა დააკავონ ესა თუ ის პირი.

მე მესმის, რამხელა უბედურება დაატყდა ოჯახს, რამხელა უბედურება დაატყდა მამას, დედას. მას სულ არ აინტერესებს, რატომ მოხდა ამ ბავშვებს შორის შელაპარაკება, ამ ადამიანს შვილი გარდაეცვალა და თვლის, რომ გამოძიება არაჯეროვნად ჩატარდა. თვლის, რომ ადრე უნდა ჩარეულიყო მთავრობა, კითხვას სვამს, რატომ ადრე არ ჩაერია მთავრობა გამოძიების პროცესში, როდესაც ის ამას მოითხოვდა.

***– და რატომ არ ჩაერია?***

– პარლამენტი, მთავრობა მაშინ ჩაერია, როდესაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, როდესაც სასამართლო გაიმართა. არ შეიძლება, როდესაც ხელისუფლებას წარმოადგენ, წინასწარ დაზარალებული მხარის მითითებით აქცენტებს სვამდე და ისე მოქმედებდე. არ შეიძლება პროკურატურას მითითებები მისცე. ეს არ შეიძლება, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ეს პერიოდი გამოვიარეთ, ახლა უკან ვერ დავბრუნდებით. თუმცა, ეს რეალობა ოჯახისთვის, მამისთვის არაფერს არ ცვლის, რადგან მათ უბედურება დაატყდათ თავს.

ამიტომ, მე ვერ შევაფასებ, მაგრამ, ცხადია, ყველაფერი სამართლებრივად უნდა გაირკვეს. სამართლებრივი საფუძველი და ფორმა უნდა მიეცეს ამ ყველაფერს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემოციებზე, რაც არ უნდა საფუძვლიანი ემოცია იყოს, აყოლა სახელმწიფოს საფუძვლებს მოარყევს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რაზეც აუცილებლად უნდა გავამახვილო ყურადღება: სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის დაპირისპირება არ მოხდეს მეორე ნაწილთან, არ მოხდეს სიძულვილის დათესვა ერთმანეთს შორის, რადგან მაშინ დაიწყება ისეთი პროცესები, რომელთაც ვერ გავაჩერებთ. თავის დროზე ესეც გვინახავს და არც ამის გამეორება არ უნდა არავის.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– თუნდაც, როდესაც ერთი მხარე აკეთებს გარკვეულ პროვოცირებას, როდესაც სიწმინდეებს ეხება, ამით კი უბიძგებს მეორე მხარეს, რომ გარკვეული ნაბიჯი გადადგას. ანუ სიძულვილისკენ უბიძგებს. სიძულვილისკენ ბიძგის მიცემა კი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევამდე ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი. ამ ყველაფერზე სახელმწიფომ უნდა იფიქროს.

***– მთავარი პროკურორის შერჩევის საკითხზე რას იტყვით, ხელისუფლება რამდენად უზრუნველყოფს სამოქალაქო სექტორის ფართო ჩართულობას?***

– რასაკვირველია, ფართო ჩართულობა უნდა იყოს, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა, რომელსაც ველოდებით, რომელიც უნდა იყოს პროფესიონალური, სიღრმისეული და ანალიზზე დამყარებული, აღარ ჩანს.

***– მათ პროტესტი აქვთ?***

– პროტესტი არ ჰქვია ამას. ამას პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა ჰქვია და გარკვეული პოლიტიკური პლატფორმის გაძლიერება. პირდაპირ ნაციონალური მოძრაობის ფორმულირებით საუბარი. უკვე აღარ ვიცი, ვინ ვის იმეორებს. არ გამოვრიცხავ, შეიძლება ბევრ საკითხზე სწორი, საინტერესო ანალიზი აქვთ გაკეთებული, მაგრამ როდესაც სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებას ეხება საქმე, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამოდიან.

# „ენგურჰესი“ მძიმე მდგომარეობაშია, შეიძლება რეგიონში გამოუსწორებელი უბედურება დატრიალდეს“

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი, აფხაზეთიდან დევნილი **მამუკა გვაძაბია** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ უდიდესი ენერგეტიკული ობიექტი „ენგურჰესი“, რომლის ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ნაწილი კი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და ადგილობრივი მოსახლეობა ხიფათის წინაშე არ უნდა დავაყენოთ.

– ცენტრალურ ხელისუფლებას მოვუწოდებ, „ენგურჰესი“ არის მოძველებული ობიექტი, რომელსაც მოდერნიზაცია და განახლება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში ძალიან სერიოზული გამოუსწორებელი უბედურება შეიძლება დატრიალდეს, „ენგურჰესის“ ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ნაწილი ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე. კერძოდ, ვსაუბრობ მართვის ობიექტის ცუდ ტექნიკურ მდგომარეობაზე. დღეს ენგურჰესზე არაპროფესიონალი კადრები ინიშნებიან, ქურდული ელემენტები გავლენას ახდენენ „ენგურჰესის“ თანამშრომლებზე, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

***– ბატონო მამუკა, სოციალურ ქსელებში დიდი დებატები გქონდათ გამართული ენგურჰესთან დაკავშირებით. მთავარი პრობლემა რა არის ენგურჰესთან დაკავშირებით? მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ, ენგურჰესზე ავარიული ვითარება იყო.***

– ენერგეტიკულ ობიექტ „ენგურჰესთან“ გარკვეული ისტორია მაკავშირებს. ჯერ კიდევ 1991 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კენჭს ვიყრიდი. 25 წელი გავიდა, მაგრამ ლეგიტიმაციას დაქვემდებარებული არჩევნები იმ რეგიონში მას შემდეგ არ ჩატარებულა. არჩევნები კი არ წამიგია, მეორე ტურში გასვლის შემდეგ კანდიდატურა მოვხსენი.

კენჭისყრის შემდეგ დეპუტატი გახდა ძალიან პატივსაცემი პიროვნება, ბატონი დგებუაძე, რომელიც დევნილობაში დაიღუპა. პირდაპირი უშუალო წარმომადგენელი ამ რეგიონს არც ერთ საკანონმდებლო ორგანოში არ ჰყავდა და არ ჰყავს. ამიტომ იქაური მცხოვრებლები მე ხშირად მომმართავდნენ და მომმართავენ. ზოგი ჩამოდის, ზოგი იქაურ პრობლემებზე სოციალურ ქსელებში მწერს.

ამ პრობლემების ერთ-ერთი შემადგენელია, უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული ობიექტი საქართველოში „ენგურჰესი“. თან მე თავის დროზე „ენგურჰესისა“ და გალის რაიონის ერთობლივი საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. პროტესტის ნიშნად „ენგურჰესის“ რამდენიმე წუთით შეჩერების რადიკალური პოლიტიკური აქცია ჩავატარეთ, როდესაც შევარდნაძის არაკანონიერი ხელისუფლება ბლოკავდა სამეგრელოს, სურსათს და ფულს არ აძლევდა.

ამდენად, ძალიან სერიოზული პოლიტიკური და არაპოლიტიკური კავშირები მაქვს „ენგურჰესთან“. არანაირი სუბიექტური ინტერესები არ გამაჩნია ამ რეგიონის მოსახლეობის მიმართ. ჩემი მოსაზრება ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელსაც ჩემი მეგობრები, თანამშრომლები მაწვდიან დღესაც. „ენგურჰესთან“ დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრებები სოციალური ქსელების საშუალებით გავავრცელე, რასაც მოჰყვა ლანძღვა-გინება.

***– რატომ გაგლანძღეს?***

– მოგეხსენებათ, „ენგურჰესის“ ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. კერძოდ, ვსაუბრობ მართვის ტექნიკურ მდგომარეობაზე. ასევე დღეს ენგურჰესზე არაპროფესიონალი კადრები ინიშნებიან, ქურდული ელემენტები გავლენას ახდენენ „ენგურჰესის“ თანამშრომლებზე. ჩემს კრიტიკას ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო, ლანძღვა-გინება მოჰყვა.

***– მლანძღველები ვინ არიან?***

– მლანძღველებთაგან ზოგიერთი თანამშრომლად ასაღებს თავს, ზოგი (უმაღლესი საბჭოს არჩევნებში რომ ვმონაწილეობდი იქიდან მოყოლებული) პირდაპირ საქართველოს მტერია და საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეა. ყოფილი საბჭოთა თავები და დღევანდელ სიტუაციაში კეთილდღეობის თვალსაზრისით „ენგურჰესზე“ მიბმული პიროვნებები არიან. ვიცი, ვინ არიან, მაგრამ ისინი ვერ გაიგებენ, მე რა ინტერესი მქონდა.

***– დღეს რატომ გალიზიანდნენ?***

– „ენგურჰესი“ ერთობლივი ობიექტია. მისი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ნაწილი – სეპარატისტების კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამიტომ „ენგურჰესის“ პრობლემები ტაბუდადებული თემაა. ამ ტაბუდადებულობაში იქამდე მივედით, რომ „ენგურჰესი“ უკიდურესად ავადმყოფი ობიექტია, ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება.

***– ვიცი, რომ ბევრჯერ იყო მცდელობა, „ენგურჰესი“ შეეკეთებინათ, მაგრამ პრობლემა იყო, როგორ ჩაენაცვლებინათ „ენგურჰესის“ გამომუშავებული დენი.***

– მესმის, რომ ეს გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ისე არ უნდა გავაკეთოთ, რომ ეს უდიდესი ენერგეტიკული ობიექტი ხაფანგად იქცეს. იქაურ მოსახლეობას პრობლემები არ უნდა შევუქმნათ. ყველა, ვისაც არ ეზარება და ხელი მიუწვდება ენგურჰესთან, ყველა ფულს აკეთებდა შევარდნაძის დროს და მის შემდეგაც.

***– ვინ აკეთებს ფულს?***



– ზოგიერთი გაზულუქებული თანამდებობის პირი აკეთებს ფულს. „ენგურჰესიდან“ გააქვთ ფერადი ლითონები. ქურდული ელემენტების ძალიან სერიოზული გავლენა იგრძნობა. მართვის პულტს, რომელიც მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, პირდაპირ აკონტროლებს „ჩერნომორენერგო“. „ჩერნომორენერგოს“ პირდაპირ რუსეთის სპეცსამსახურები აკონტროლებენ. მისი სათავო ოფისი სოხუმშია.

როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტია, საოკუპაციო რეჟიმთან გარკვეული თანამშრომლობის გარეშე მართვა შეუძლებელია, მაგრამ ეს ობიექტი უკიდურესად დაავადებულია და ადგილობრივი მოსახლეობა ხიფათის წინაშე არ უნდა დავაყენოთ.

ერთი კვირის წინ, უკიდურესად ავარიული სიტუაცია იყო, სამანქანო დარბაზი წყლით დაიტბორა. წყალსაცავი გაბზარული იყო, რომელსაც თავის დროზე ყურადღება არავინ მიაქცია.

***– ახლა ხომ ჩაირთო, გაბზარული წყალსაცავი გააკეთეს?***

– წყალსაცავი, რომლის კედელიც გაბზარულია, არ მუშაობს. გაბზარული წყალსაცავის მუშაობა წარმოუდგენელია. ცენტრალურ ხელისუფლებას მოვუწოდებ, „ენგურჰესი“ არის მოძველებული ობიექტი, რომელსაც მოდერნიზაცია და განახლება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში ძალიან სერიოზული გამოუსწორებელი უბედურება შეიძლება დატრიალდეს. ის ადამიანები არ მიმაჩნია პასუხის ღირსად, რომლებიც მე მაკრიტიკებენ.

თუ კვალიფიციური სპეციალისტი ხარ, თუ გული შეგტკივა, კრიტიკულ გამონათქვამებს, არგუმენტებს კონტრარგუმენტები უნდა დავუპირისპიროთ, რატომ მოხდა ავარია, რატომ ინიშნებიან „ენგურჰესის“ ობიექტის მმართველობით თანამდებობებზე შემთხვევითი ადამიანები, არაპროფესიონალები. ნაცვლად არგუმენტებისა, ჩემ მიმართ წამოვიდა ღვარცოფი. სულ არ მაინტერესებს ბიჭ-ბუჭების გნიასი. თქვენი მეშვეობით მეძლევა საშუალება საზოგადოებას ავუხსნა, რომ ამ სერიოზულ ობიექტს სჭირდება ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება.

***– ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ჰესის მართვის ობიექტზე აფხაზები მუშაობენ?***

– დიახ, მუშაობენ, მაგრამ ძალიან ცოტა. უფრო ადგილობრივები მუშაობენ. ისინი იქ უფრო სიტუაციას აკონტროლებენ.

***– ვინ?***

– აფხაზების მხრიდან უფრო სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან, ვიდრე – პროფესიონალები. რადგან მნიშვნელოვანი ობიექტია და პოლიტიკური ვაჭრობის საგანია, ხელიდან არ უშვებენ.

„ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიიდან ნაწილი აფხაზეთში რუსულ საოკუპაციო ბაზებს მიეწოდება. ბაზების ტერიტორია გაჩახჩახებულია მაღალი ხარისხის ელექტროენერგიით. აფხაზეთის მოსახლეობას კი დაბალი ხარისხის ელექტროენერგიას აწოდებენ.

მათ შორის, გალის საცოდავ ქართველ მოსახლეობას მბჟუტავ დენს აწვდიან. გალის რაიონში თვითონ ენერგოსისტემაც უკიდურესად ჩამოშლილია. ყოველ მეორე დღეს ტრანსფორმატორი იწვის. ამის გაკეთების ვალდებულება „ჩერნომორენერგოსა“ და მის ხელმძღვანელობას ეკისრება. უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამ კასკადს ის აკონტროლებს.

***– გალის მოსახლეობას დენის ფულს ახდევინებენ? რამდენადაც ვიცი, აფხაზეთს დენი უფასოდ მიეწოდება.***

– გალის მოსახლეობას ფიქსირებულ გადასახადს ახდევინებენ. მგონი, თვეში 300 მანეთს. ოღონდ გამრიცხველიანება არ არის.

***– ენგურჰესთან დაკავშირებით სააკაშვილმა რუსეთთან მემორანდუმი რომ გააფორმა, თუ არ ვცდები ომის შემდეგ, მგონი მაშინ შემოიყვანეს „ჩერნომორენერგო“?***

– „ჩერნომორენერგო“ მას შემდეგ აკონტროლებს ენგურჰესს, რაც აფხაზეთის ოკუპაცია მოხდა. ერთ პერიოდში „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელი სერგეი ბაღაფშიც იყო. „ჩერნომორენერგო“ რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაციაა.

# „ლავროვს გიგა ბოკერიას საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა უნდოდა“

## მირიან მირიანაშვილი: „საქართველოში დაძაბულობას რუსეთი აღვივებს“

მარიამ მჭედლიშვილი

შვილმოკლული მშობლები სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ და ამ მიზნით საპროტესტო აქციებს აგრძელებენ. მათ პროტესტს იყენებენ ისინი, ვისაც საქართველოში დაძაბულობის ახალი ტალღის აგორება უნდა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს

**მირიან მირიანაშვილი:**

– ვიზიარებ ყველა იმ ადამიანის მწუხარებას, ვინც უსამართლობის მსხვერპლი გახდა. ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის მოთხოვნები აბსოლუტურად გასაგებია. უბედურება ისაა, რომ მათ აქციებს მოხერხებულად იყენებენ გარკვეული ძალები.

***– ამაში, ძირითადად, ნაცმოძრაობას ადანაშაულებენ.***

– ნაცმოძრაობის აქტიურობის მიუხედავად, აქ მთავარი სხვა ძალებია. საქართველოში დაძაბულობას რუსეთი აღვივებს. რუსეთი ამას ქართველების დახმარებით აკეთებს. „ევროპულ საქართველოზე“ და ამბიციურ გეგმებზე მასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მაშინ დავიწყე საუბარი, როცა სხვები ნაცმოძრაობის ამ განაყოფს ჩამოწერილად მიიჩნევდნენ. რამდენიმე თვის წინ ისიც ვთქვი, რომ „ევროპული საქართველო“ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის მთავარი საყრდენია საქართველოში. საქართველოს პოლიტიკური სპექტრის კურირება პირადად სერგეი ლავროვს დაევალა. ჩემი ნათქვამი რომ გამართლდა, დღეს უფრო თვალსაჩინო ხდება.

***– „ევროპული საქართველო“ საპროტესტო აქციებში არ მონაწილეობს, სამაგიეროდ, თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, მათ შორის, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაში. ამ კომისიაში „ევროპული საქართველო“ უმრავლესობაშია.***

– „ევროქოცების“, როგორც მას უწოდებენ, დანიშნულება არ არის ამ აქციებში ჩართვა. მათ შუამავლის ფუნქციას აკისრებენ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. კომისიაშიც ესაა მათი მოვალეობა.

***– რუსეთს რაღაც სცენარი აქვს საქართველოში სიტუაციის ასარევად? წესით, მოსკოვს ჩვენთან პოზიციები უნდა დაეთმო.***

– დათმობს კიდეც, მაგრამ რუსეთს საბოლოოდ გასვლა არ უნდა და ამის თაობაზე ამერიკელებთან სურს გარიგება. ობამას დროს საქართველოში აშშ-სა და რუსეთს დაყოფილი ჰქონდათ სეგმენტები. საქართველოს ეკონომიკის ნამდვილი ბატონ-პატრონი, სამწუხაროდ, ისევ რუსეთია. ჩვენი ქვეყანა კრემლის სამეურნეო დანამატი და საქმიანი ეზოა. სხვები ვერ ბედავენ იმის ხმამაღლა თქმას, რომ საქართველოს საააფთიაქო ბიზნესი პუტინთან დაახლოებული ჩინოსნის, ვლადისლავ სურკოვის ხელშია.

***– რუსეთს საქართველოში რევოლუცია უნდა?***

– ამ ეტაპზე დაძაბულობა აკმაყოფილებს. არეულობის გამოწვევით ჩრდილოელ მეზობელს უნდა, ბოლოს და ბოლოს გაარკვიოს ამერიკელების პოზიცია, ასევე წინ წამოსწიოს „ევროპული საქართველო“.

***– ასეთი მნიშვნელოვანია კრემლისთვის ეს პარტია?***

– კრემლი საქართველოში ბევრს აკონტროლებს, მაგრამ ახლა ფსონს ისეთ ჯგუფზე დებს, რომელიც რუსეთთან არ ასოცირდება. მოსკოვს ვაშინგტონთან გარიგება უნდა. მნიშვნელოვანი და ნიჭიერი პერსონაა გიგა ბოკერია. მას უცხოეთში იცნობენ. ლავროვს ცოტა ხნის წინ გიგა ბოკერიას დანიშვნა საგარეო საქმეთა მინისტრადაც კი უნდოდა.

***– მოქმედი მინისტრი ახალ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს?***

– ჯანელიძე ასოცირებულია რუსეთთან. ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს საგარეო უწყების მინისტრის მოადგილედ ის ლავროვის თანაშემწის მოთხოვნით დაინიშნა. რუსებს აღარ აწყობთ კადრები, რომლებმაც განათლება რუსეთში მიიღეს. ისეთები ურჩევნიათ, რომლებსაც რუსეთთან თითქმის არაფერი აკავშირებთ და რომლებიც დასავლეთთან უფრო თამამად ისაუბრებენ. ჯანელიძეს დასავლეთის ნდობა არ გააჩნია. ჩემი პროგნოზით, აშშ არც „ევროპულ საქართველოს“ დაუჭერს მხარს. „ქართული ოცნება“ კი რუსებისთვისაც მიუღებელია.



## „სირიის მიმართ სარკისებური გადაწყვეტილებაა მისაღები“

***– სირიის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობის“ აღიარებაშიც დიდია ლავროვის წვლილი.***

– ამაზე პირველწყაროდან სერიოზული ინფორმაციები მაქვს. ვიცნობ სირიაში ირანის საელჩოს პირველ პირებს. მათგან ვიცი, რომ ამ იდეას წინააღმდეგობა ჰქონდა. უკვე სამი წელიწადი იქნება, რაც რუსეთი სირიისგან ამ გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვდა. ამას ეწინააღმდეგებოდა ირანი, რომელსაც სირიაში დიდი გავლენა ჰქონდა. თეირანმა იცოდა, რომ ეს გადაწყვეტილება დაასუსტებდა საქართველოს, რითიც სარგებელს ნახავდნენ რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. ირანს ეს არაფერში სჭირდებოდა.

***– ახლა ველარ იქონია გავლენა ირანმა სირიაზე?***

– სირიის მეჯლისში, სადაც პროირანული ძალებიც მძლავრად არიან წარმოდგენილი, სირიის საგარეო საქმეთა მინისტრს მოალემს ამაზე შეკითხვები დაუსვეს. გამოითქვა აზრი, რომ საქართველო ამის პასუხად სარკისებურად იმოქმედებდა, რაც დამაზიანებელი იქნებოდა სეპარატისტული ბევრი საფრთხის მქონე სირიისათვის. მინისტრმა იგივე შეკითხვა რუსეთის ელჩს, კინშაკს გაუმეორა. რუსმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ მოსკოვი საქართველოს ხელისუფლებას აკონტროლებს და სარკისებური პასუხი არ იქნება.

***– გამოდის, რომ სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტაც მოსკოვთან იყო შეთანხმებული?***

– რუსეთს ამის წინააღმდეგ რა უნდა ეთქვა! საქართველოს მსოფლიოს სახელმწიფოების ნახევარზე მეტთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გააჩნია და ამით ქვეყანა არ ინგრევა. არც სირია დაიქცევა. საშიშროება ახლა საქართველოს უდგას, თუ სირიას სხვებიც მიბაძავენ.

***– სირიის მიმართ პროტესტი უფრო სერიოზული უნდა ყოფილიყო?***

– ეს უეჭველია. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ახლა მაინც უნდა გააკეთოს. სირიისა და ყველა სხვის გასაგონად უნდა გამოცხადდეს, რომ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების აღიარებას მოჰყვება იგივე ნაბიჯი თბილისის მხრიდან.

***– თქვენვე აცხადებთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთი აკონტროლებს და ჯანელიძე ან კვირიკაშვილი ამას როგორ იზამენ?***

– გადაწყვეტილებას უფრო ბიძინა ივანიშვილისაგან ველი. თუ ის ამ გაბედულ დიპლომატიურ ნაბიჯს გადადგამს, საკუთარ პრესტიჟსაც გადაარჩენს და საქართველოსაც გამოაჩენს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ეს იქნება გარკვეული ტესტი. დასავლეთმა ივანიშვილს წამზომი ადრევე ჩაურთო. თუ ის გაბედავს რუსეთისაგან დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღებას, ამით ქვეყანასაც ეშველება და პირადად ბიძინა ივანიშვილსაც.

მისგან პოლიტიკური პაუზის გაგრძელება შეცდომა იქნება. თუ საქართველო სწორად იმოქმედებს, შესაძლოა, არაღიარების დამრღვევი გადაწყვეტილებები უკან წაიღონ სირიამაც, გვატემალამაც, ნიკარაგუამაც და ნაურუმაც. სეპარატიზმის საფრთხე ფაქტობრივად ყველას აწუხებს, სირია კი საქართველოზე უარეს დღეშია და საქართველოს მიერ სირიის სეპარატისტული წარმონაქმნების, მაგალითად, ქურთების ანკლავის ცნობა და ქურთების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება დამასკოს ძალიან ძვირად დაუჯდება. დომინოს პრინციპით ამას სხვებიც გააკეთებენ. მაგალითად, საუდის არაბეთი.

***– ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას სირიის საპასუხო სარკისებური გადაწყვეტილება მიაღებინოს?***

– ეს თუ არ გავაკეთეთ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არავინ ჩაგვთვლის. არც დასავლეთის მხრიდან გვექნება ნდობა და არც რეგიონში გაგვიწევენ ანგარიშს. დარწმუნებული ვარ, ამ საკითხზე გიგა ბოკერიამ რომ იაქტიუროს, მას ქვეყნის გარეთ წონა გაეზრდება და შიგნითაც საჭირო გახდება.





## გიორგი გაჩეჩილაძე: „მოგვეცა საშუალება, რომ ძვირი ფული ჩვენთვის იაფი ყოფილიყო“

– ეკონომიკის სამინისტროს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, რომ ეფექტურად მიმდინარეობს. ჩვენც მისი ბენეფიციარები ვართ. რომ არა ეკონომიკის სამინისტროს ეს პროექტი, ჩვენ ამ საწარმოში ფულის ჩადებას ვერ გავრისკავდით და არ ჩავდებდით, – განაცხადა შპს „ტიფლის ტექსტილის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი გაჩეჩილაძემ.



აღნიშნული საწარმო პროგრამის ორი კომპონენტით სარგებლობს – ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით.

– პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ჩვენ მოგვეცა საშუალება, რომ ის ძვირი ფული, რომელიც ბაზარზე არსებობს საკრედიტო რესურსის სახით, ჩვენთვის 2 წლის მანძილზე იაფი ყოფილიყო. ამან გადაგვაწყვეტინა, ინვესტიცია ქარხნის მშენებლობაში ჩაგვედო, – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

„ტიფლის ტექსტილი“ ჯერჯერობით მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზეა წარმოდგენილი, თუმცა ევროკავშირში ექსპორტის განხორციელებას გეგმავს.

– ეს ის მიმართულებაა, რითაც ადგილად შევძლებთ ევროგაერთიანების ბაზარზე შესვლას. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს ევროკავშირთან, რითაც აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ, – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

– პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, ვფიქრობ, უნდა გაგრძელდეს. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული შესაძლებლობით ბევრი ისარგებლებს და საქართველოს მასშტაბით კიდევ არაერთი საწარმო გაიხსნება, – განაცხადა შპს „ტიფლის ტექსტილის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი გაჩეჩილაძემ.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, შპს „ტიფლის ტექსტილს“ საწარმოს ასაშენებლად თბილისში, საიროს ქუჩის 81-ის მიმდებარედ 9.492 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა გადაეცა.

ასევე პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში თითქმის 190.000 ლარის თანადაფინანსება მოხდა სახელმწიფოს მხრიდან. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით კომპანიამ, შპს „ტიფლის ტექსტილ“ საწარმოს თანამედროვე ხარისხის მანქანა-დანადგარებით აღჭურვა.

ინვესტიციის ჯამური მოცულობა 6 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

**კომერსანტი**

## კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში იპოთეკური სესხები და ვაჭრობის სექტორი ლიდერობს



მიმდინარე წლის 5 თვეში ეროვნული ეკონომიკა კომერციულმა ბანკებმა 9 მილიარდ 923 მილიონ 165 ათასი ლარით დააკრედიტეს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საკრედიტო პორტფელში სამომხმარებლო სესხები ლიდერობს. ფიზიკურ პირებზე კომერციულმა ბანკებმა 6 მილიარდ 603 მილიონი ლარის სესხი გასცეს.

დაკრედიტებაში მოწინავე პოზიციაზეა იპოთეკური სესხები. ბანკებმა უძრავი ქონების სანაცვლოდ 2 მილიარდ 361 ათასი ლარის სესხი გასცეს.

რაც შეეხება ეკონომიკის სექტორებს საკრედიტო პორტფელში, 22% უჭირავს ვაჭრობას, სადაც დაკრედიტების მოცულობამ 2018 წლის 5 თვეში 657 მილიონ 445 ათასი ლარი შეადგინა.

ეკონომიკის სექტორებს შორის მეორეა მრეწველობა 596 მილიონ 382 ათას ლარიანი პორტფელით. მესამეზეა მშენებლობა, რომლის წილიც საერთო დაკრედიტებაში 5%-ია და 242 მილიონ 625 ათას ლარს შეადგენს.

**კომერსანტი**

## ეკა ბესელია: „QNET-თან არანაირი კავშირი არ მაქვს“



– QNET-თან არანაირი კავშირი არ მაქვს, – ასე განმარტავს „კომერსანტთან“ დეპუტატი ეკა ბესელია რამდენიმე დღის წინ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს QNET-ის ქართულ ოფისს ეკა ბესელიას ოჯახის წევრები მართავენ.

ბესელია აცხადებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

– ჩემი ფართი, რომელიც ბიზნესცენტრში მდებარეობს, გაქირავებულია ერთ-ერთ კომპანიაზე. სულ ესაა. QNET-თან არანაირი კავშირი არ მაქვს, – განმარტავს ბესელია.

შეგახსენებთ, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანების (ifact.ge) ინფორმაციით, QNET-ის ქართულ ოფისს ეკა ბესელიას ოჯახის წევრები მართავენ. მათივე ცნობით, თავად ოფისი ეკა ბესელიას საკუთრებაში მდებარეობს.

– QNET პირამიდის პრინციპზე დაფუძნებულ ქსელურ მარკეტინგს ეწევა. ეკონომისტების აზრით, პირამიდის მოდელის მქონე კომპანიები მოგების მისაღებად თაღლითურ სქემას იყენებენ, – აღნიშნულია გაერთიანების განცხადებაში.

**კომერსანტი**

# 6 წელიწადში ქართველებმა აზარტულ თამაშებში 9 მილიარდზე მეტი დახარჯეს!



ოფიციალური სტატისტიკით ირკვევა, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესის ბრუნვა უფრო მაღალია, ვიდრე თუნდაც სუპერმარკეტებისა და სასურსათო მაღაზიების ერთად აღებული.

მეტიც, აზარტულ თამაშებში საქართველოში უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე საწვავში ან რესტორნებსა და სხვა კვების ობიექტებში. მაგალითად, 2017 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 5,650 მლრდ ლარი შეადგინა, რაც საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებული მაღაზიების ბრუნვასთან შედარებით, თითქმის 1,6 მლრდ ლარით მეტია. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საცალო ვაჭრობის არასპეციალიზებული მაღაზიების ბრუნვამ (სუპერმარკეტები, უბნის მაღაზიები და სხვ.) 4,094 მლრდ ლარი შეადგინა.

თვალსაჩინოებისთვის, საწვავის ბაზრის ბრუნვის მოცულობა შარშან 2,343 მლრდ ლარი იყო, რესტორნებისა და სასტუმროების მთლიან ბრუნვას კი სათამაშო ბიზნესის ბრუნვა თითქმის 4,1 მლრდ ლარით აღემატება. კერძოდ, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს „განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული დაწესებულებების“ ბრუნვამ სულ 1,559 მლრდ ლარი შეადგინა. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ადამიანები, როგორც ჩვენი მოქალაქეები, ისე უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, აზარტულ თამაშებში იმაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე საწვავში, კვებასა და სასტუმრო-რესტორნებში.

**ანდრია გვიდიანი, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ანალიტიკოსი:**

– აზარტული თამაშების ბრუნვის საერთო ზრდა და მოყვანილი კონკრეტული მონაცემიც მიუთითებს, რომ აზარტული თამაშების ბიზნესი გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება და სულ უფრო საგანგაშო მასშტაბს იძენს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს ბიზნესი ხელისუფლების რეგულირებას საჭიროებს, რადგან ის უკვე ბიზნესი აღარ არის, არამედ ეკონომიკისთვის იქცა პრობლემად.

სათამაშო ბიზნესი არის მეტასტაზი საქართველოს ეკონომიკისთვის, რომელიც აუცილებლად მოსაცილებელია.

ოფიციალური სტატისტიკაც ცხადყოფს, რომ აზარტულ თამაშებში ჩართულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მის კეთილდღეობასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. საზოგადოდ, როცა მცირდება განკარგვადი შემოსავალი, ამით ეკონომიკური დოვლათი კი არ იქმნება, ეს მეტყველებს, რომ საქმე სისტემურ პრობლემასთან გვაქვს. აქედან გამომდინარე, იმედია, ხელისუფლება მალე მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და აზარტულ თამაშებში არსებულ მდგომარეობას მოაწესრიგებს. სწორედ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომ თანხამ, რომელიც ამ ბიზნესში ბრუნავს, ეროვნულ დანაზოგებში გადაინაცვლოს და ეს ფული საბანკო არხების გავლით გარდაიქმნეს ინვესტიციებად ეკონომიკის რეალურ სექტორებში.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასაც რომ გადავხედოთ, თითქმის ყველა ქვეყანამ მიმართა რეგულაციების გზას, ზოგან აიკრძალა კიდეც ონლაინაზარტული თამაშები. საქართველოც უნდა მოეგოს გონს, რადგან ტურისტულ სექტორშიც კი, რომელიც პრიორიტეტული მიმართულებაა, სადაც წლიდან წლამდე იზრდება უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა და ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად არის მიჩნეული, ნაკლები შემოსავალი შედის, ვიდრე აზარტული თამაშების ბიზნესში.

პარლამენტში მთელი წელიწადია დევს კანონპროექტი, რომელმაც აზარტული თამაშების ბიზნესი უნდა დაარეგულიროს, რომელსაც განხილვაც აღარ სჭირდება, მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო. როცა ექვსი წლის განმავლობაში მხოლოდ ლაპარაკობ, რომ აუცილებელია განსაზღვრულ რეგულირებაში სათამაშო ბიზნესის მოქცევა და ერთი რეალური ნაბიჯიც კი არ გადადგმულა ამისთვის, თვალში ნაცრის შეყრას უფრო ჰგავს ეს პოზიცია, ვიდრე საქმის კეთებას. ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას, თავი დაანებოს არაფრისმომცემ განცხადებებს და საქმე აკეთოს.

**სოსო არჩვაძე, ეკონომიკის ექსპერტი, სტატისტიკოსი:**

– ამ სტატისტიკურ მონაცემებზე მახსენდება ილფისა და პეტროვის ცნობილი ნაწარმოები „12 სკამი“, სადაც ვკითხულობთ, ქალაქში იმდენი სადალაქო, აბანო და ეკლესია იყო, რომ შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მისი მცხოვრებნი მხოლოდ წვერს იპარსავდნენ, მერე აბანოში დადიოდნენ და ალსარებას აბარებდნენ ეკლესიაშიო. სწორედ ამის მსგავსად, როცა ერთმანეთს ადარებ საქართველოში სხვადასხვა ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებლებს, გრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მოსახლეობას, სათამაშო ბიზნესის გარდა, სხვა არაფერი ახსოვს.

საქართველოში სათამაშო ბიზნესში ჩართული არიან არა მხოლოდ ჩვენი მოქალაქეები, არამედ სხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებიც. ამიტომ, როცა სათამაშო ბიზნესის ბრუნვაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ განსაზღვრული წილი ამ ბრუნვაში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც მოდის.

2011-2017 წლების მონაცემები დავაჯამე და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს სათამაშო ბიზნესში 9 მილიარდ ლარზე მეტი აქვთ დახარჯული. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, რომ როცა ვლაპარაკობთ ჭარბვალიანობაზე, აღებული კრედიტების დიდი წილი სწორედ აზარტული თამაშებისკენ მიემართება. არადა, აზარტული თამაშებიდან მიღებული ყველა სახის გადასახადი და მოსაკრებელი ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტი იღებს თამბაქოს აქციზის სახით. ეს მაშინ, როცა სათამაშო ბიზნესი ბრუნვის სიდიდით მნიშვნელოვანწილად აღემატება თამბაქოს ბრუნვის მოცულობას. ამ მონაცემებზე დაკვირვებით ეჭვქვეშ დგება ცნობილი ეკონომიკური პოსტულატი, რომ ადამიანი ეკონომიკურად რაციონალური არსებაა. არადა, პირიქით, ადამიანი ხშირად იქცევა ირაციონალურად, როცა შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს სათამაშო ბიზნესსა თუ თუნდაც ჯანმრთელობისთვის საზიანო, მაგალითად, თამბაქოში ხარჯავს.

შარშან ნობელის პრემია მიიღო ამერიკელმა ეკონომისტმა რიჩარდ თალერმა. მან თავისი მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დაასკვნა, რომ ადამიანი უფრო ხშირად იქცევა ირაციონალურად, ვიდრე რაციონალურად. სხვათა შორის, როცა ნობელის პრემია მიულოცეს, თალერს ჰკითხეს, რაში დახარჯავდა პრემიის ფულს და მისგან სარკასტული პასუხი მიიღეს, აბსოლუტურად ირაციონალურადო. სწორედ ასეთი მდგომარეობა გვაქვს, როცა მოსახლეობის შემოსავლების, აღებული ფინანსური ვალდებულებების დიდი ნაწილი სრულიად ირაციონალურად იხარჯება. ამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევურიგდეთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა რაც შეიძლება მეტი ხარჯი იყოს რაციონალური მიზნებისთვის გაღებული.

**ბპნ**

# „საქნახშირი“ წლებია მოგების გარეშე მუშაობს — კომპანია შესაძლოა ბაზრიდან გავიდეს

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (GIG), რომლის თანამფლობელობაშიცაა „საქნახშირი“ (ტყიბულის შახტიდან ქვანახშირს მოიპოვებს) ბაზრიდან გასვლას არ გამორიცხავს. მიზეზი რამდენიმეა, რაზეც „კომერსანტი“ GIG-ის გენერალურ დირექტორს, ზურაბ გელენიძეს გაესაუბრა. როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც 2008 წლიდან კომპანიამ ტყიბულში დაიწყო საქმიანობა, თავი არაერთმა სირთულემ იჩინა. პრობლემის მოგვარება კი ხშირად პრაქტიკულად შეუძლებელია. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დღეს GIG-ი გადაწყვეტილების მიღების პროცესშია და დარწმუნებული აღარ არის, რომ ტყიბულში საქმიანობის გაგრძელება კვლავ სურს.

რაც შეეხება დეტალურ ინფორმაციას, ზურაბ გელენიძის პასუხი ასეთია:

პირველი პრობლემა – კომპანია ზარალზე მუშაობს, შესაბამისად ვერ ნახულობს მოგებას:

– კომპანია დასაწყისიდან დღემდე მიდის ზარალში და არანაირი მოგება არ რჩება. აღნიშნულს ადასტურებს საერთაშორისო აუდიტიც და ციფრებიც. ამიტომ, არ ვიცით, როგორი იქნება ჩვენი სამომავლო გეგმები და ახლა სწორედ საბოლოოდ ჩამოყალიბების პროცესში ვართ. ამ აზრამდე მივედით განსაკუთრებით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ ყველა სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკი დაგვეხურა, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. არ გვილირს ადამიანების სიცოცხლის ფასად საქმიანობის გაგრძელება და არც ის გვინდა, ჩვენი კომპანიის სახელს უკავშირდებოდეს ეს ყველაფერი. დღეს ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ მზად ვართ ბაზრიდან გასასვლელად და ვინ, როგორ მიხედავს ტყიბულს, ეს უკვე შემდგომი მსჯელობის საგანია.

მეორე პრობლემა – აღებული სოციალური პასუხისმგებლობა, რისკების მინიმიზაციის მიუხედავად, მაინც მკვეთრად მაღალია:

– შრომის უსაფრთხოების კუთხით გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები და ამ მიმართულებით კომპანიის მხრიდან განხორციელდა 13 მლნ. ლარის ინვესტიციაც. რეალურად კი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული მაინც დიდ გამოწვევად რჩება და ასეც გაგრძელდება. ზოგადად, ამ სფეროში ნულამდე რისკების მინიმიზაცია შეიძლება, მაგრამ განულება შეუძლებელია.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 13 მლნ. ლარის გარდა, კიდევ არაერთი ღონისძიებაა გასატარებელი, რაც უფრო მეტად შეამცირებდა აღნიშნულ რისკებს, მაგრამ ესეც დიდ თანხებს საჭიროებს.

მესამე პრობლემა – საერთაშორისო ბაზარზე გაუარესდა ნახშირის კონიუნქტურა. გაუარესდა ფასთა პოლიტიკაც:

– ეს პრობლემა ალბათ ყველაზე მწვავეა უშუალოდ კომპანიისთვის. ბოლო 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ნახშირის საერთო მოცულობამ 34 %-ით იკლო და გაუარესდა ფასებიც. ჩვენ კი ერთი-ერთში მივყვებით ამ საერთაშორისო ტენდენციებს და ამიტომ საკმაოდ მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ბოლო პერიოდში არ



მოგვიხდება სამუშაო ძალის ოპტიმიზაცია (თანამშრომლების შემცირება რაოდენობრივად ან ხელფასების მხრივ), რაც სავსებით შეიძლებოდა. მეტიც, ერთსაც და მეორესაც მზარდი ხასიათი აქვს.

მეოთხე პრობლემა – სახელმწიფოს მხრიდან ამ დრომდე რეალური და შესაბამისი მხარდაჭერა არ არის;

– რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ზოგადად კერძო სექტორისადმი დამოკიდებულებას, რაც ნაკლები ყურადღება დაეთმობა სფეროს და მზრუნველობა იქნება მეტი, უკეთესია. ყურადღება გვჭირდება გარკვეული სამოქმედო ველის შექმნისთვის და არა სხვა ჩარევებისთვის. კონკრეტულად ჩვენ შემთხვევაში, ახლა მიმდინარეობს ხელისუფლებასთან გარკვეული მოლაპარაკებები, მაგრამ შედეგები უცნობია. მთავრობა აღიარებს, რომ დიდია სოციალური პასუხისმგებლობა ტყიბულში და ჩვენი, როგორც შემამსუბუქებლის როლიც ძალიან მაღალია.

მიდის მსჯელობა, რა გზით შეიძლება წავიდეთ და სად შეიძლება აღმოვჩნდეთ. ჩვენ გვჭირდება მთავრობის მხრიდან, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები. ალბათ კარგი იქნება, მანვე მოახდინოს მსხვილი ინვესტიციაც, თუმცა ესეც კვლევის საკითხია. იმედია, მხარეები რაღაც კონსენსუსამდე მივალთ, რადგან როგორც ხედავთ, უამრავი პრობლემის წინაშე ვდგავართ.

მეხუთე პრობლემა – აუცილებელია მეტი ტექნოლოგიური აღჭურვილობა და მექანიზაცია, რაც დამატებით თანხებს საჭიროებს;

– ძირითადად ხდება შრომითი დანახარჯებით საქმიანობა, ანუ ქვანახშირის ხელით მოპოვება. მექანიზაციის დონე ძალიან დაბალია და მისი მოცულობის გასაზრდელად დიდი დაბანდებებია საჭირო. თუმცა ტექნოლოგიურად უფრო მეტად რომც გავიზარდოთ, ჩვენი რეალობა მაინც სხვა სახის შეზღუდვებს გვიწესებს. კერძოდ, რთული საშახტო პირობებია, ასევე თავად ნახშირის ფენების დახრილობა არის 45%, რაც მექანიზების განხორციელების შესაძლებლობებს ზღუდავს. ამასთან, ჩვენს ნახშირს აქვს მეთანის მაღალი შემადგენლობა, ამიტომ თვითაალების და აფეთქების რისკიც მუდმივად დგას დღის წესრიგში, ანუ ერთი მხრივ – მექანიზაცია უნდა განვავითაროთ, მეორე მხრივ კი – ეს მექანიზაციაც ვერ შეძლებს სრულად სიტუაციის გამოსწორებას, ეს გადაუწყვეტელი დილემაა.

მეექვსე პრობლემა – ტყიბულის ნახშირი საერთაშორისო ბაზრისთვის არაკონკურენტულია:

– ჩვენ მიერ მოპოვებული ნახშირის დაახლოებით 80% დღეს გადაიტვირთება „ჰაიდელბერგ ცემენტში“ და ისტორიულად ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალი იყო. ე.ი. გვყავს მონომყიდველი და სრულად მასზე ვართ დამოკიდებული. ჩნდება კითხვა, რატომ არ ვაფართოებთ ბაზრებს?! რადგან ეს ნახშირი თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ არის ტრეიდინგული პროდუქტი, ანუ ეს არ არის კომოდიტი, რომელიც შეგიძლია მოიპოვო – გაყიდო. მას აქვს დაბალი კალორიულობა, აქვს უამრავი სხვა კიდევ ისეთი მახასიათებელი, რაც მის გარეთ გატანასა და კონკურენტულ შესაძლებლობას ზღუდავს.

მეშვიდე პრობლემა – ლოჯისტიკა:

– საკმაოდ მძიმეა ტყიბულიდან ფოთში ტრანსპორტირების საკითხიც, რაც თითქმის შეუძლებელია. ამიტომ საუბარი, რომ მკვეთრად გაიზრდება მოცულობა ახალი მყიდველის გამოჩენის შემდეგ, არასწორია. ერთადერთი შეიძლება ეს ნახშირი მოვიპოვოთ და გამოყენებული ელექტროენერგიის მიღების თვალსაზრისით ადგილზევე გამოვიყენოთ. სხვა ალტერნატივა ამ ტყიბულის ქვანახშირს არ აქვს.

რაც შეეხება ზოგადად „საქნახშირის“ მუშაობას ტყიბულში, ზურაბ გელენიძე განმარტავს, რომ 2008 წელს სანამ GIG-ი მოკიდებდა საქმიანობას ხელს, სახელმწიფო მართვის ქვეშ მყოფი „საქნახშირი“ აბსოლუტურად პარალიზებული იყო. მუშაობდა რამდენიმე ათეული ადამიანი და მათი საქმიანობა მხოლოდ წყლის ქაჩვა იყო. უკვე „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ მისვლიდან კი განხორციელდა 80 მლნ. ლარის ინვესტიცია; მთლიანად განახლდა საწარმოო პროცესი, აშენდა გამამდიდრებელი ფაბრიკაც. ეს უკანასკნელი კი ცალსახად აუცილებელია ტყიბულისთვის, რადგან მოპოვებული ნახშირის ხარისხი ვერ უზრუნველყოფს ისეთ პარამეტრებს, რათა პირდაპირ გაიყიდოს. საჭიროა მისი გამდიდრება.

GIG-ის ყოფნის პერიოდში დასაქმდა 1500 ადამიანი, მოპოვების წლიურმა მოცულობამ კი, მაგალითად, 2012-13 წლებში 450-500 ათასი ტონა შეადგინა.

– იმ შემთხვევაში თუ „საქნახშირი“ გაჩერდება, სახელმწიფოს მოუწევს პროდუქტის სრულად იმპორტით ჩანაცვლება. ჩვენი რეალიზაცია წლის განმავლობაში დაახლოებით 200-250 ათას ტონას შეადგენს და თითქმის 40 მლნ. ლარის ოდენობას გულისხმობს. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩადებული ინვესტიცია და მოგება სრულად შეუსაბამოა და პირველი შეცდომაც კომპანიამ ალბათ მაშინ დაუშვა, როცა აღნიშნული საქმიანობის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ის კაპიტალდაბანდება, რაც იყო გაწეული, ალბათ ვერასდროს ვერ ნახავს იმ უკუგებას, რაც თავიდანვე ჩადებული იყო ამ ბიზნესპროექტში. ხოლო, თუ გავედით ბაზრიდან, საუბარია 80-90 მლნ. ლარ ზარალზე.

**კომერსანტი**

## სასამართლომ მერაბ მორჩაძე პატიმრობაში დატოვა



მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით დაკავებული მერაბ მორჩაძე სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. მოსამართლემ სრულად გაიზიარა ბრალდების არგუმენტები და მიიჩნია, რომ არსებობს ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.

პროკურორის განცხადებით, მერაბ მორჩაძე მოზარდების მკვლელობიდან თვენახევარში მივიდა კალანდიიების ოჯახში და ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის მოწმეს, მიხეილ კალანდიას გადასცა თანხა.

ბრალმდებლის განცხადებით, მორჩაძემ კალანდიას ურჩია, რომ არ მიეცა ბრალდებულების წინააღმდეგ ჩვენება.

– სანაცვლოდ მორჩაძე მოწმეს მატერიალურ სარგებელს დაჰპირდა და უთხრა, რომ თუ ის ბრალდებულების წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემდა, შეინარჩუნებდა მეგობრებს, – განაცხადა პროკურორმა.

პროკურორის განმარტებით, საქმეში არსებობს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალა და მოწმეების ჩვენებები.

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე მორჩაძე 8 ივნისს დააკავეს. 10 ივნისს კი წინასწარი პატიმრობა მირზა სუბელიანს შეეფარდა.

2017 წლის 1 დეკემბერს თბილისის ცენტრში, ვერაზე ორი არასრულწლოვანი დავით სარალიძე და ლევან დადუნაშვილი დაჭრეს. ერთი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მეორე – მრავლობითი დაზიანებებით საავადმყოფოში მოთავსებიდან მეორე დღეს, 2 დეკემბერს გარდაიცვალა.

## „თემირლან მაჩალიკაშვილის ოთახიდან ამოღებულ ხელყუმბარაზე მისი თითის ანაბეჭდი არ ფიქსირდება“



მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ ხელყუმბარაზე, რომელიც თემირლან მაჩალიკაშვილის ოთახიდან ამოიღეს, მისი თითის ანაბეჭდი არ ფიქსირდება.

როგორც ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა აღნიშნა, ექსპერტმა ასევე დაადასტურა, რომ ხელყუმბარაზე აღმოჩენილია მცირე რაოდენობის სისხლი. კუბლაშვილის თქმით, ამით დასტურდება, რომ სპეცოპერაციისას მაჩალიკაშვილს ხელყუმბარა არ ჰქონდა, ვინაიდან თუკი მაჩალიკაშვილს ხელყუმბარა ხელში ეჭირა, ამ შემთხვევაში წესით მასზე დიდი რაოდენობის სისხლი უნდა ყოფილიყო.

ექსპერტი, რომელმაც ხელყუმბარაზე ექსპერტიზა ჩაატარა, ტერორისტულ ორგანიზაციაში პირების გაერთიანებისა და ტერორისტული ორგანიზაციებისა და ორგანიზაციის წევრებისთვის ხელშეწყობის საქმის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა.

– დაიკითხა ექსპერტი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა იმ ექსპერტიზის ჩატარებაში, რომელიც უკავშირდება თემირლან მაჩალიკაშვილის სახლში შეტანილ ხელყუმბარას. მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ბალისტიკური ექსპერტი დაიკითხა იმ დღეს, როცა მე სასამართლო სხდომას ვერ დავესწარი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის გამო. ამ ექსპერტს უნდა ეთქვა, ხელყუმბარა იყო თუ არა საბრძოლო მდგომარეობაში.

დღეს კი საუბარი იყო დაქტილოსკოპიაზე. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ხელყუმბარის ფალიაზე და არც სხვა ნაწილზე არ აღმოჩნდა თითის ანაბეჭდი. საუბარი იყო ასევე სისხლის კვალზეც. დადგენილი ფაქტია, რომ სროლის შემდეგ წამიერად სისხლით იყო მოცული საწოლი და იატაკი. თუ ხელყუმბარა თემირლან მაჩალიკაშვილს ხელში ეჭირა, მასზე უნდა ყოფილიყო დიდი რაოდენობით სისხლი. მე ეს კითხვა დავსვი, რაზეც მივიღე პასუხი, რომ ხელყუმბარაზე აღინიშნება მცირე რაოდენობის სისხლი და მოხვედრილია შხეფის სახით, – აღნიშნა მარიამ კუბლაშვილმა.

19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი 2017 წლის 26 დეკემბერს, სუს-ის მიერ პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციისას თავის არეში დაიჭრა. იგი 10 იანვარს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

## ცოლს დაურეკა, აღარ დავბრუნდები და ბავშვებს მიმიხედეო



### ხაშურში ახალგაზრდა მამაკაცი მამამ ხეზე ჩამოკიდებული იპოვა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში ახალგაზრდა მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა. ინფორმაციას „დიანიუსი“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, 35 წლამდე ასაკის მამაკაცი ხეზე ჩამოკიდებული მამამ ნახა. ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ხაშურის საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმების განცხადებით, ახალგაზრდა მამაკაცი ამ ეტაპზე მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

– როგორც გავიგეთ, ჯერ მეგობრებს დაემშვიდობა, შემდეგ კი მის ცოლს დაურეკა და ასე უთქვამს, აღარ დავბრუნდები და ძალიან გთხოვ, ბავშვებს მიმიხედეო. წავიდა და რამდენიმე წუთში მამამისს უნახავს ხეზე ჩამოკიდებული, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

## სანდრო გირგვლიანის საქმეზე ვასილ სანოძე დაიკითხა



სანდრო გირგვლიანის საქმეზე, რომელზეც ბრალი კუდ-ის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას აქვს წაყენებული, შსს-ს გენინსპექციის ყოფილი უფროსი, ვასილ სანოძე დაიკითხა.

მან 2006 წლის 27 იანვარს „შარდენ ბარში“ განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა. კითხვების უმეტესობაზე, რომელიც ბარში მყოფ პირებსა და მის ქმედებებს ეხებოდა, სანოძემ განაცხადა, რომ არ ახსოვს გარკვეული ფაქტები. კერძოდ, სანოძემ ვერ გაიხსენა, გადიოდნენ თუ არა სუფრიდან შსს-ს იმჟამინდელი მაღალჩინოსნები ტელეფონზე სასაუბროდ ან სხვა რაიმე მიზნებისთვის.

– სუფრასთან რომ ვისხედით, დათა ახალაიას მიერ რაიმე დავალების მიცემა, ოპერატიულის ან არაოპერატიულის არ გამიგია, – აღნიშნა სანოძემ.

მოწმის სახით დაკითხვისას სანოძემ ასევე აღნიშნა, რომ მას არ დაუნახავს „შარდენ ბარში“ სანდრო გირგვლიანი. ამასთან, სანოძის თქმით, მომხდარის თაობაზე მან ტელევიზიით შეიტყო. ასევე ტელევიზიით შეიტყო, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით დააკავეს გია ალანია და კიდევ რამდენიმე პირი.

კითხვაზე, დაიწყო თუ არა მოკვლევა მისმა დეპარტამენტმა, ვინაიდან ამ საქმეში ძალოვანი უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ვასილ სანოძემ აღნიშნა, რომ მის დეპარტამენტს მოკვლევა არ დაუწყია.

– რა დანაშაულიც ჩაიდინეს, იმ მუხლებით ჩემი დეპარტამენტი გამოძიებას არ იწყებდა. ამას იძიებდა პროკურატურა. აქედან გამომდინარე, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ჩემს დეპარტამენტს რეაგირება არ მოუხდენია, – აღნიშნა სანოძემ.

მან ასევე განმარტა, თუ რატომ დატოვა დროებით დაკავებული თანამდებობა.

– ნეგატიური ფონი იყო ჩემ მიმართ და ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ მიმემართა შს მინისტრისთვის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, – აღნიშნა ვასილ სანოძემ.

სანდრო გირგვლიანი 2006 წლის 27 იანვარს ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე კუდი-ს ყოფილმა მაღალჩინოსნებმა მეგობართან ერთად აიყვანეს და სასტიკად სცემეს. მეორე დღეს კი გირგვლიანი ხევში გარდაცვლილი იპოვეს.

აღნიშნულ საქმეზე 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ხელახალი გამოძიების შედეგად, ბრალი იმჟამინდელი ხელისუფლების თანამდებობის პირებს წაუყენეს, მათ შორის, ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, შს ყოფილ მინისტრს ვანო მერაბიშვილს, კუდ-ის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას და სხვებს.

## გორში ფერადკანიან მამაკაცს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს




ინციდენტი მოხდა გორში, ქალაქის ცენტრში, ფერადკანიან მამაკაცს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ფაქტი კაფე „შანზელიზეში“ მოხდა და ფერადკანიან მამაკაცს ჯერ აგინეს, შემდეგ კი ხელსახოცების ჩასადები ყუთი ესროლეს.

კაფის ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ ინციდენტი მათთან არ მომხდარა და, სავარაუდოდ, დაპირისპირებას „პროკრედიტ“ ბანკთან ჰქონდა ადგილი. ფერადკანიანი მამაკაცი კაფეში კი მაშინ შევიდა, როდესაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს ელოდებოდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ინციდენტში მონაწილე ორივე პირი იდენტიფიცირებულია და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

## ზვიად დევდარიანი პატივისა და ღირსების შელახვისთვის 11 პირს და ტაბულას უჩივის



ზვიად დევდარიანმა პატივისა და ღირსების შელახვისთვის 12 ადამიანის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა. საჩივარი დევდარიანმა ადვოკატთან ერთად საქალაქო სასამართლოში უკვე შეიტანა. დევდარიანის ადვოკატის, დიმიტრი გაბუნიას თქმით, 12 პირიდან მხოლოდ 8 პირის ვინაობას დაასახელებენ, ესენი არიან ბაია პატარაია, იდა ბახტურიძე, თამარ ჩერგოლეიშვილი, ნინო დანელია, თამარ ყურაშვილი, თამარ კაკაბაძე, ეკატერინე ონიანი და გამოცემა ტაბულა.

გაბუნიას განმარტებით, მოწმის სახით და არა – მოპასუხედ დაიკითხება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი ნინია კაკაბაძე.

შეგახსენებთ, 17 მარტს, ქალთა მოძრაობამ ომბუდსმენის მიერ წარდგენილი სამეურვეო საბჭოს კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე ზვიად დევდარიანი სექსუალური შევიწროების 10-მდე შემთხვევაში დაადანაშაულა. სიდას ყოფილი თავმჯდომარის მხრიდან შევიწროებაზე „ტაბულასთან“ ისაუბრა 8 ქალმა. აღნიშნული პროცესების შემდეგ დევდარიანმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

## ქუთაისში სპეცოპერაციისას 1 პირი დააკავეს



გუშინ, 11 ივნისს, ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ბარ „ბუნგალოს“ წინ სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული. არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის შედეგად, ბარში ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი ერთი პირი აიყვანეს.

ადგილზე სპეცრაზმის, საპატრულო პოლიციის და ექსპერტიზის თანამშრომლები იყვნენ მობილიზებული. ბუნგალოში დასაქმებულების ინფორმაციით, დაინახეს, რიმ ეზოდან ერთი პიროვნება აიყვანეს, რომელიც, სავარაუდოდ, ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს.


## სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.

მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# მერკელი იმედგაცრუებულია



გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ტრამპმა დიდი შვიდეულის კომუნიკეს ხელი არ მოაწერა.

– დოკუმენტი ყველამ ერთად შევიმუშავეთ. იმედი მქონდა, რომ მისტერ ტრამპი მას ხელს მოაწერდა. სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა, – თქვა მერკელმა.

კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად ტრამპის დემარშისა, კომუნიკე მიღებულია და მას კანონის ძალა აქვს.

# ავღანეთში თალიბანის თავდასხმის შედეგად 15 ძალოვანი დაიღუპა



ავღანეთის ჩრდილოეთში, ყუნდუზის პროვინციაში რადიკალური მოძრაობა „თალიბანის“ წევრების თავდასხმის შედეგად სულ მცირე 15 ძალოვანი დაიღუპა.

შეგახსენებთ, რომ ავღანეთის მთავრობამ და „თალიბანის“ ხელმძღვანელობამ ურაზა-ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით დროებითი ზავი გამოაცხადეს.

# სანქტ-პეტერბურგში ავტომობილი ხალხში შევარდა



სანქტ-პეტერბურგში ავტომობილი ხალხში შევარდა. ინციდენტი კვების ობიექტის გარე პერიმეტრზე მოხდა. შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა და 3 დაშავდა. ამის შესახებ რუსული მედია წერს.

დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მომხდარზე ძალოვანი უწყება დამატებით ინფორმაციას არ ავრცელებს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, თავდამსხმელი იმავე რაიონში მცხოვრები 33 წლის კაცია. უცნობია, რა იყო დამნაშავის მოტივი. პოლიციამ ის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანა.

# მაიკლ პომპეო: „აშშ მხარს უჭერს კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციას“



აშშ-ის ადმინისტრაცია მხარს უჭერს კორეის ნახევარკუნძულის სრულ, უეჭველ და შეუქცევად დენუკლეარიზაციას.

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

– აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გუნდმა წინასწარი ბრიფინგი გამართა. დღეს ჩვენი ელჩი ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებს ხვდება. ჩვენ კვლავ ვინარჩუნებთ ჩვენს მხარდაჭერას კორეის ნახევარკუნძულის სრულ, უეჭველ და შეუქცევად დენუკლეარიზაციისადმი, – განაცხადა მაიკლ პომპეომ.

მისივე თქმით, ჩრდილოეთ კორეის დელეგაციასთან მოლაპარაკება ძალიან შინაარსიანი იყო.

დონალდ ტრამპსა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს შორის ისტორიული შეხვედრა დღეს სინგაპურში გაიმართება. ორი ქვეყნის ლიდერი 10 ივნისს ჩაფრინდა სინგაპურში.

# ავსტრიაში მეჩეთებს ხურავენ



ავსტრიის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მეჩეთებიდან 7 დახურა. 40-მდე იმამი ავსტრიიდან გააძევეს. ამან ავსტრიაში მცხოვრები მუსლიმანები აღაშფოთა.

– მეჩეთების დახურვა და იმამების გაძევება რამადანის დროს მოხდა. ეს ჩვენი უდიდესი შეურაცხყოფაა, – ამბობს ავსტრიელ მუსლიმანთა ლიდერი იბრაჰიმ ოლღუნი.

ოლღუნმა სარჩელი სასამართლოში შეიტანა. ის ავსტრიის ხელისუფლებას ფიზიკური და მორალური ზარალის ანაზღაურებას სთხოვს.

# ალბანელმა კონტრაბანდისტებმა იტალიის სანაპიროსთან ზღვაში 2,5 ტონა მარიხუანა გადაყარეს



ალბანელმა კონტრაბანდისტებმა მოხმარებისთვის გამზადებული 2,5 ტონა მარიხუანა იტალიის სანაპიროსთან ზღვაში გადაყარეს და მონტენეგროს ტერიტორიულ წყლებში მიიმალნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ადრიატიკის ზღვის ტერიტორიული წყლების შემოვლის დროს, იტალიის ფინანსური პოლიციის თვითმფრინავმა ნაპირიდან 40 კილომეტრში დატვირთული სწრაფმავალი კატარღა აღმოაჩინა.

„იტალიელმა პარტნიორებმა ინფორმაცია მოგვაწოდეს, ჩვენ კი აღნიშნულ რაიონში პოლიციის ორი კატარღა გავაგზავნეთ. თუმცა დამნაშავეების კატარღამ ტვირთი – 2.475 კილოგრამი მარიხუანა წყალში გადაყარა და მაღალი სიჩქარით მონტენეგროს ტერიტორიულ წყლებში მიიმალა, – იუწყება ალბანური ტელეარხი.

მისივე ინფორმაციით, ერთსაათიანი დევნის შემდეგ ბოროტმოქმედებმა მონტენეგროს პოლიციისგან მიმალვა შეძლეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ნიდერლანდების პრემიერმა მის მიერვე დაქცეული ყავა თავადვე მოწმინდა



ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრ მარკ რიუტეს ქაღალდის ჭიქიდან ყავა პარლამენტის შენობის შესასვლელში დაეღვარა, რის შემდეგაც დამლაგებელს იატაკის საწმენდი ჯოხი გამოართვა და დასვრილი იატაკი თავადვე მოწმინდა. აღნიშნული ინციდენტი ჰოლანდიის ერთ-ერთი ტელეარხის კამერებმა დააფიქსირეს.

გარშემომყოფნი პოლიტიკოსის ქმედებას ოვაციებით შეხვდნენ, ხოლო დამლაგებლები პრემიერს ამხნევებდნენ.

პარლამენტის კორესპონდენტმა ირენ ოსტვეინმა აღნიშნა, რომ რიუტემ კარგად იცოდა, რომ კამერები მუშაობდა, მაგრამ „მაინც დარჩა, მის მიერვე დასვრილი იატაკი მოწმინდა და ამით თავსაც იწონებდა“.

სოციალურ ქსელებში აღნიშნულ შემთხვევას სხვადასხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა. ნაწილმა პოლიტიკოსის საქციელი მოიწონა, თუმცა, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც მისი ეს ქმედება საკუთარი თავის პიარად აღიქვეს.

# გააფთრებული ორანგუტანი ექსკავატორს თავს დაესხა

გააფთრებული ორანგუტანი ექსკავატორთან, რომელიც მის ტყეს ანადგურებდა, უთანასწორო ორთაბრძოლაში ჩაება. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლზე, რომელიც ინდონეზიის კუნძულ ბორნეოზეა გადაღებული, მაიმუნი წაქცეულ ხეზე ადის და მანქანის ციცხვს თავს ესხმის. ამის პასუხად ექსკავატორის მემანქანემ ცხოველი ხიდან ჩამოაგდო. ამის შემდეგ ცხოველი გაჭირვებით წამოდგა ფეხზე და შეეცადა, მანქანის კაბინაში შეეღწია.

აღნიშნული ვიდეო 2013 წელს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გადაიღეს, თუმცა ის მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა. მათი თქმით, ორანგუტანი გადაარჩინეს, თუმცა, ამავე დროს, ტყეების გაჩეხის საფრთხეზეც გააკეთეს განცხადება:

– ჩვენ ვანადგურებთ მათ სახლს და ისინი იძულებული ხდებიან, ადამიანების გვერდით დასახლდნენ, რაც ხშირად კონფლიქტებით მთავრდება.



ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო 60 წლის განმავლობაში ორანგუტანების რაოდენობა ორჯერ შემცირდა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ამ სახეობის საბინადრო ტყეების 55 პროცენტი განადგურდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# დინამო საბურთალოს წამოეწია



**ლოკომოტივი-საბურთალო 1:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

1:0 ვაგნერი (49პ) 1:1 კიკაბიძე (63)

**ლოკომოტივი:** შეროზია, გაბაძე, ჭანტურია, ქურდაძე, კომახიძე (ღონღაძე 69), გვალია, უბილავა, კობახიძე (ინჯგია 90), კიკაბიძე (არდაზიშვილი 74), გავაშელიშვილი, ჯიქია

**საბურთალო:** ქურდაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი, თარხნიშვილი (ალთუნაშვილი 77), დიასამიძე (გოშთელიანი 82), გორგიაშვილი, გვარაძე (ტატანაშვილი 71), ვაგნერი, კოხრეიძე

პირველი ნახევარი გატანილი გოლების გარეშე მორჩა. ანგარიშის გახსნის 2 შესაძლებლობა საბურთალოელებს ჰქონდათ.

საბურთალოელებისთვის მეორე ტაიმიც კარგად დაიწყო: ვაგნერი საჯარიმოში წააქციეს და პენალტი თავად დაზარალებულმა აქცია გოლად.

რამდენიმე წუთში მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს – ლუკა კიკაბიძე მეტოქის საჯარიმოში სწრაფად შეიჭრა, კარში ძლიერად დაარტყა.

ცოტა ხანში თავისიანების წინ გაყვანა ორჯერ დიმიტრი ტატანაშვილს შეეძლო, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში მცველები გადაეღობნენ დარტყმულს, ერთხელაც ბურთი მეკარე ლუკა შეროზიამ მოიგერია.

**დინამო-ჩიხურა 1:0**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 ივანისენია (9)

**დინამო:** ბულისკერია, რუხაია, კობოური, ლოჩოშვილი, ხარაბაძე, ივანისენია (ქოჩლაძე 60), ნინუა (კუცია 64), შულაია, კიტეიშვილი, ივანიშვილი, ზივზივაძე (ერგემლიძე 84)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი (ჩიხლაძე 66), მირცხულავა, მეგრელიშვილი, კახაბრიშვილი(გუგა 77), კაკუბავა, დობროვოლსკი, გაბედავა, მარკოზაშვილი, ბუხაიძე (ცხადაძე 46)

შეხვედრა მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და ანგარიშის გახსნა უკვე მე-5 წუთზე შეეძლოთ, დარტყმა ბუდუ ზივზივაძეს არ გამოუვიდა. მალევე დინამოელებმა მაინც გაიტანეს: გიორგი ივანიშვილის პასით დმიტრო ივანისენიამ შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

გოლის შემდეგ თამაში ისევ მაღალ რიტმში გაგრძელდა, მაგრამ სახიფათო მომენტების გარეშე. ტაიმის ბოლოსკენ გიორგი ივანიშვილს მართებდა გოლის გატანა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა. საპასუხოდ კი თბილისელთა კარი დემეტრე ბულისკერიამ იხსნა მას შემდეგ, რაც გიორგი გაბედავას დარტყმული ბურთი მოიგერია.

მეორე ტაიმში თამაში შედარებით დაბალ ტემპში გაგრძელდა. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ეპიზოდურად საჩხერლებიც ამწვავებდნენ თამაშს. 74-ე წუთზე რევაზ ჩიტეიშვილმა ხელსაყრელ პოზიციაში მიიღო ბურთი, დარტყმა კი დიდი მანძილით აცდა დინამოს კარს. მე-80 წუთზე უკვე გიორგი ივანიშვილმა გაუშვა ხელიდან კარის აღების რეალური შესაძლებლობა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა დინამოს შემტევმა დინო ჰამზიჩს ვეღარ აჯობა. საბოლოოდ მატჩი დედაქალაქელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

**დილა-კოლხეთი 2:0**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 კოვტალიუკი (54) 2:0 კორიფაძე (90)

**დილა:** ბეგაშვილი, კერელეიშვილი (რაზმაძე 78), კვახაძე, ჩადუნელი, კორიფაძე, ნონდი (სამუშია 88), ნონიკაშვილი, ქავთარაძე, ფორტესი (ლემპტი 61), რიბეირო, კოვტალიუკი

**კოლხეთი:** პოლტავცევი, პანამარიოვი, გოგონაია, მახარაძე, კილასონია, დანილოვი, ტყემალაძე (არზიანი 62), კაბორე, იმნაძე (კვერნაძე 85), კაკულია (კახელიშვილი 55), კვასოვი

**გაძევება:** გოგონაია (10)

გორელები აშკარა ფავორიტებად ითვლებოდნენ. მათი ეს სტატუსი კიდევ უფრო გაამყარა მე-10 წუთზე ფოთელთა კაპიტნის ლაშა გოგონაიას გაძევებამ. კორიფაძის გრძელი პასის შემდეგ, მიკოლა კოვტალიუკი მეკარესთან პირისპირ გადიოდა, როდესაც მის წინააღმდეგ გოგონაიამ იუხეშა. შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, გიორგი კიკაჩეიშვილმა ეს მომენტი უკანასკნელი იმედის ჯარიმად შეაფასა და ფოთელები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ.

ამ მომენტიდან გორის დილამ საგრძნობი სათამაშო უპირატესობა მოიპოვა, თუმცა, გიორგი დარასელიას გუნდს მომენტების რეალიზება უჭირდა.

ანგარიში 54-ე წუთზე გაიხსნა – ლევან ნონიკაშვილმა ვაკო ტყემალაძეს ცენტრში მოპარა ბურთი, საჯარიმოში შეიჭრა და მიკოლა კოვტალიუკს გაატანინა.

ბოლო წუთებში კოლხეთი დიდი ძალებით წავიდა თამაშის გადასარჩენად და მარცხენა ფლანგზე გიორგი კორიფაძის გარღვევა გამოეპარათ, რომელიც საჯარიმოში დაუბრკოლებლად შევიდა და აუღებელი დაურტყა ანდრეი პოლტავცევს.

საბოლოოდ, 2:0 გორელთა სასარგებლოდ.

**სამტრედია-ტორპედო 1:4**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძე

0:1 გიგაური (21) 0:2 კუტალია (34) 1:2 ხაბეიშვილი (42) 1:3 ბოხაშვილი (78) 1:4 დოლიძე (90)

**სამტრედია:** სტურუა, ჩაჩუა, ქარქუზაშვილი, კერძევაძე, ბაჩიაშვილი, მესიაჩენკო (ნინუა 37), ახალაძე, კირკიტაძე, გიი, ოლხოვი (ვეილი 77), ხაბეიშვილი (ხაჩიძე 64)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, მამასახლისი (წიქარიძე 84), დოლიძე, გიგაური, სარდალიშვილი (კუხიანიძე 60), კუტალია, კაპანაძე (ბოხაშვილი 67)

იმერული დაპირისპირების ძირითადი ნაწილი საკმაოდ ნელ ტემპში წარიმართა. ბურთს უმეტესად მოქმედი ჩემპიონები ფლობდნენ. სამტრედია კი კონტრშეტევებზე აკეთებდა აქცენტს.

ანგარიში 21-ე წუთზე გაიხსნა. მერაბ გიგაურის შორეული დარტყმა ძელიდან ასხლეტით შევარდა სამტრედიელთა მეკარის ილია სტურუას კარში.

34-ე წუთზე ვაჟა ტაბატაძემ მარჯვენა ფლანგზე ბოლომდე იბრძოლა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდება მოახერხა. სამტრედიელ მცველებს ლევან კუტალია უმეთვალყუროდ დარჩათ და ქუთაისელთა შემტევმაც თავური დარტყმით სხვაობა ორამდე გაზარდა.

პირველი ნახევრის ბოლოს ქუთაისელებს სამტრედიელთა სწრაფი შეტევა გამოეპარათ. გიისა და კირკიტაძის აქტიურობის შემდეგ, ზაურ ხაბეიშვილი აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე და სამტრედიელთა ფორვარდმაც სხვაობა შეამცირა.

78-ე წუთზე გიორგი ახალაძემ ბურთი ცენტრში დაკარგა და ქუთაისელებს სწრაფი კონტრშეტევის განხორციელების საშუალება მიეცათ. გრიგოლ დოლიძის გამჭოლი პასით შეცვლაზე შემოსულმა ევგენი ბოხაშვილმა ისარგებლა და ტორპედოს მაისურით პირველი გოლი გაიტანა. მატჩის ბოლოს თავად დოლიძემაც შეძლო გოლის გატანა. ტორპედოს ვეტერანმა მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 1:4.

**რუსთავი-სიონი 2:2**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 ციცქიშვილი (9), 1:1 გურეშიძე (43), 2:1 ციცქიშვილი (48), 2:2 უგულავა (79)

**რუსთავი:** რევიშვილი, გეგეჭკორი, პაპავა, კობახიძე, კირკიტაძე (ენდელაძე 79), ცინცაძე, ფონიავა, კვირკვია (ქავთარაძე 84), ციცქიშვილი, ჩოგაძე (სილაგაძე 74). მაქაცარია

**სიონი:** მუჯრიშვილი, მინდორაშვილი, თომაშვილი, გურეშიძე, გიორბელიძე, ხმალაძე, ქიქავა, გაფრინდაშვილი (მანაგაძე 46), მიქაბერიძე (უგულავა 46), ლეჟავა, ბერიაშვილი

ქვემოქართლური დერბი საკმაოდ დაძაბული და უხვგოლიანი გამოდგა – 2:2. არადა, რუსთავი ორჯერ იგებდა შეხვედრას, მაგრამ სათავისოდ დასრულება მაინც ვერ მოახერხა.

შეხვედრაში ანგარიში საწყის წუთებშივე გაიხსნა. თამაზ მაქაცარიას პასით ზაზა ციცქიშვილი ხელსაყრელ პოზიაში აღმოჩნდა და მიხეილ მუჯრიშვილს ახლო დაბალ კუთხეში გაუტანა.

43-ე წუთზე ლაშა ლეჟავას ჩაწოდებულ ბურთზე ყველას ალექსანდრე გურეშიძემ დაასწრო და სიონის ცენტრალურმა მცველმა ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მეორე ნახევარი ვარლამ კილასონიას გუნდისთის კარგად დაიწყო. ბოლნისელებმა ბურთი ცენტრში დაკარგეს და ციცქიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან აუღებული დაურტყა მუჯრიშვილს – 2:1

76-ე წუთზე ბოლნისელებმა კიდევ ერთხელ გაათანაბრეს: ლაშა მანაგაძის პასის შემდეგ, ჯაბა უგულავამ ერთი მოძრაობით ჩამოიტოვა მცველი და შორეულ ცხრიანში გაუტანა რევიშვილს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 14 | 10 | 1 | 3 | 28-12 | 31 |
| 2.დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 25-12 | 29 |
| 3.დილა | 14 | 7 | 6 | 1 | 28-15 | 27 |
| 4.ჩიხურა | 14 | 6 | 4 | 4 | 22-15 | 22 |
| 5.ტორპედო | 14 | 6 | 3 | 5 | 20-14 | 21 |
| 6.რუსთავი | 14 | 4 | 3 | 7 | 13-19 | 15 |
| 7.ლოკომოტივი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-24 | 15 |
| 8.კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 15-32 | 13 |
| 9.სიონი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-25 | 10 |
| 10.სამტრედია | 14 | 1 | 6 | 7 | 9-19 | 9 |

# რეკორდსმენი ბრაზილია და სიურპრიზების მოყვარული კოსტა რიკა




**E ჯგუფი.**

17 ივნისი, 16:00 კოსტა რიკა-სერბეთი; 22:00 ბრაზილია-შვეიცარია;

22 ივნისი, 16:00 ბრაზილია-კოსტა რიკა; 22:00 სერბეთი-შვეიცარია;

27 ივნისი, 22:00 სერბეთი-ბრაზილია; 22:00 შვეიცარია-კოსტა რიკა.

**ბრაზილია**

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია 1914 წელს დაარსდა, ფიფაში კი, 1923 წელს გაწევრიანდა. სადღეისოდ, რეიტინგში მე-2 ადგილზეა. პირველი მატჩი, 1914 წელს, არგენტინასთან გამართა და 0:3 წააგო.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი კაფუს (142) აქვს ჩატარებული, ბომბარდირი კი ლეგენდარული პელეა (77).

ბრაზილიის ნაკრები ყველაზე ტიტულოვანი გუნდია მსოფლიოში: 5-ჯერ (1958, 1962, 1970, 1994, 2002) პლანეტის საუკეთესო გუნდი. 8-ჯერ (1919, 1922, 1949, 1989, 1997, 1999, 2004, 2007) აქვს მოგებული კოპა ამერიკა.

გზა რუსეთამდე მშვიდად გაიარა და სამხრეთ ამერიკის 10-გუნდიან ჯგუფში პირველობა ვადაზე ადრე გაიფორმა.

ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად 1930 წელს ითამაშა. სულ კი ბრაზილიელები მუნდიალზე 21-ჯერ მოხვდნენ. როგორც გითხარით, გუნდმა ოქროს მედლები 5-ჯერ მოიპოვა, რაც რეკორდული მაჩვენებელი გახლავთ.

ბრაზილიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი ტიტე გახლავთ. 57 წლის სპეციალისტი ქვეყნის ეროვნულ გუნდს 2016 წლის ივნისში ჩაუდგა სათავეში. ტიტემ 2011 და 2015 წლებში კორინთიასთან ერთად ბრაზილიის სერია ა მოიგო. 2012 წელს კოპა ლიპერტადორესი, შემდეგ კი მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ბრაზილიელთა ლიდერი ნეიმარი გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის ფეხბურთელი თებერვალში მიღებული ტრავმის შემდეგ, როგორც ჩანს, სრულად გამოჯანმრთელდა და ბოლო ამხანაგურ მატჩებში გოლებიც გაიტანა. სამხრეთამერიკელები მთავარ იმედებს სწორედ პსჟ-ს ლიდერზე ამყარებენ. ყოველ შემთხვევაში, ნეიმარი მუნდიალზე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იქნება.

კარს მოახლოებულ მუნდიალზე ტიტეს გუნდი ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაა მიჩნეული. სელესაოს შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს, რომელიც ოქროს მედლებისთვის მაქსიმუმს გაიღებს. ნეიმარის გარდა, გუნდში ირიცხებიამ ვილიანი, მარსელო, კაზემირო, პაულინიო, ფირმინო, ჟეზუსი და კიდევ ბევრი ვარსკვლავი. 16 წელია, რაც გუნდს მუნდიალი არ მოუგია, რაც დამეთანხმებით, ბრაზილიელი გულშემატკივრისთვის დიდი დროა, ამიტომ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებიან კმაყოფილნი, თუ ნეიმარი და კამპანია სამშობლოში თასით დაბრუნდებიან.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** ალისონი (რომა), ედერსონი (სიტი), კასიო (კორინთიანსი);

**მცველები:** ფელიპე ლუისი (ატლეტიკო), მარსელო (რეალი), ჟოაო მირანდა (ინტერი), ფაგნერი (კორინთიანსი), დანილო (სიტი), მარკინიოსი, ტიაგო სილვა (ორივე პსჟ), პედრო ჟერომელი (გრემიო);

**ნახევარმცველები:** რენატო აუგუსტო (ბეიჯინგ გუანი), ფრედი (შახტარი), პაულინიო, კოუტინიო (ბარსელონა), კაზემირო (რეალი), ვილიანი (ჩელსი), ფერანდინიო (სიტი);

**თავდამსხმელები:** ნეიმარი (პსჟ), გაბრიელ ჟეზუში (სიტი), ფირმინო (ლივერპული), დუგლას კოშტა (იუვენტუსი), ტაისონი (შახტარი).

**შვეიცარია**

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია 1895 წელს დაარსდა, ხოლო ფიფას წევრი 1904 წლიდან არის. ადგილი რეიტინგში – 14. პირველი მატჩი ფრანგებთან ჩაატარეს 1905 წელს და 0:1 დამარცხდნენ.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ჰანს ჰემანს (118) აქვს ჩატარებული, ხოლო ყველაზე მეტი გოლის ავტორი ალექსანდერ ფრეი (42) გახლავს.

შვეიცარიელები უტიტულო ნაკრებია... მსოფლიო ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგი მეოთხედფინალია (1934, 1938, 1954), ხოლო ევროპის ჩემპიონატებზე – მეთექსმეტედფინალი.

გზა რუსეთამდე მოულოდნელზე უკეთესად გაიარა. ჯგუფში, სადაც პორტუგალია, უნგრეთი, ლატვია, ფარერის კუნძულები და ანდორა იყო თავმოყრილი, 9 მოიგო, მხოლოდ ერთი მატჩი წააგო, ისიც ბოლო ტურში პორტუგალიასთან და ევროპის ჩემპიონების მსგავსად 27 ქულა დააგროვა. თუმცა, ურთიერთშეხვედრებით ჩამორჩა და ფლეი ოფში ირლანდიას დაუპირისპირდა, ვისთანაც სტუმრად 1:0 მოიგო, შინ კი უგოლო ფრეს დასჯერდა.

შვეიცარიის ეროვნული ნაკრები მუნდიალზე 10-ჯერ მოხვდა. გუნდს დებიუტი შორეულ 1934 წელს ჰქონდა. შვეიცარიელებისთვის საუკეთესო შედეგს, მეოთხედფინალს, 1934 1938 და 1954 წლებში მიაღწიეს.

შვეიცარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ პეტკოვიჩი გახლავთ. იგი გუნდს 2014 წლის ივნისიდან წვრთნის. შვეიცარიამდე მას ბელინცონაში, იანგ ბოიზში, სამსუნსპორში, სიონში და ლაციოში უმუშავია. ყველაზე დიდ წარმატებას ბოსნიელმა სწორედ იტალიურ გუნდში მიაღწია. 2013 წელს, მან რომაელებთან ერთად ქვეყნის თასი მოიგო.

პეტკოვიჩის გუნდის მთავარი ძალა არსენალის ნახევარმცველი გრანიტ ჩაკა გახლავთ, რომელსაც ნაკრებში კი 62 მატჩში 11 გოლი აქვს გატანილი.

ძნელია შვეიცარიის ნაკრებს რაიმე წარმატება ვუწინასწარმეტყველოთ, თუმცა მათი ჯგუფიდან გასვლაც მოულოდნელობად არ უნდა ჩავთვალოთ. ისიც სათქმელია, რომ პეტკოვიჩის გუნდი საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდა და ბრაზილიის გარდა, არც კოსტა რიკასთან და სერბეთთან ელით იოლი გასეირნება.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** რომან ბიურკი (დორტმუნდი), ივონ მვოგო (ლაიპციგი), იან სომერი (გლადბახი);

**მცველები:** მანუელ აკანჯი (დორტმუნდი), იოჰან ჯურუ (ანთლიასპორი), ნიკო ელვედი (გლადბახი), მიშელ ლანგი (ბაზელი), სტეფან ლიხშტაინერი (იუვენტუსი), ჟაკ-ფრანსუა მუბანკე (ტულუზა), რიკარდო როდრიგესი (მილანი), ფაბიან შაარი (დეპორტივო);

**ნახევარმცველები:** ვალონ ბეჰრამი (უდინეზე), ბლერიმ ჯემაილი (ბოლონია), ჟელსონ ფერნანდესი (აინტრაქტი), რომეო ფრაულერი (ატალანტა), ხედრან შაქირი (სტოკი), გრანიტ ჯაკა (არსენალი), დენის ზაკარია (გლადბახი), სტეფენ ზიუბერი (ჰოფენჰაიმი);

**თავდამსხმელები:** იოსიპ დრმიჩი (გლადბახი), ბრეელ ემბოლო (შალკე), მარიო გავრანოვიჩი (დინამო ზაგრები), ჰარის სეფეროვიჩი (ბენფიკა).

**კოსტა რიკა**

კოსტა რიკის ფეხბურთის ფედერაცია 1921 წელს დაარსდა, ფიფას წევრი კი, 1927 წლიდან გახლავს. ადგილი რეიტინგში საკმაოდ მაღალი აქვა – 25-ე. პირველი მატჩი 1921 წელს ელ სალვადორთან გამართა და 8:0 მოიგო.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ვალტერ კენტენოს (137), ჩაუტარებია, ხოლო ყველაზე მეტი გოლი როლანდო ფონსეკას (47) გაუტანია.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## გიო ხუციშვილი გარდაიცვალა



56 წლის ასაკში მომღერალი გიო ხუციშვილი გარდაიცვალა. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. გიო სიმსივნეს ებრძოდა.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, დიდ საკონცერტო დარბაზში გიო ხუციშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, სადაც მისმა მეგობრებმა მიიღეს მონაწილეობა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი მომღერლის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა. კონცერტს ბიძინა ივანიშვილი დაესწრო და გიოს ვარსკვლავი სწორედ მან გახსნა.

ეს დღე მომღერლის მეგობარმა, მსახიობმა თემო გვალიამ გაიხსენა:

– ამ დღეს გაიხსნა გიო ხუციშვილის ვარსკვლავი. ამ დღეს დაემშვიდობა გიო მთელს საქართველოს თავისი სიმღერით... უჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო და რამდენიმე სიმღერა მაინც გვიმღერა.

ვარსკვლავის გახსნის შემდეგ, გამოიარა ძალიან ნელი სვლით, რამდენიმე მეგობრის დახმარებით, ჯოხით ხელში, გახარებულმა, ნაღვლიანმა და როცა ჩემს წინ აღმოჩნდა, მინდოდა მოვხვეოდი და ორი სიტყვით გამემხნევებინა. დამინახა, გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და მეუბნება: „თემო შემოგევლე, მაპატიეთ ჩემებმა, ვერც გესალმებით ნორმალურად“...

მივხვდი, რომ ძალიან ცუდად იყო... მივხვდი, რომ არ უნდა შემეწუხებინა. ხელზე მოვკიდე ხელი და ვეუბნები: „შემოგევლე გიო, მაგარი კაცი ხარ, გმადლობ“... ისევ გამიღიმა ნაღვლიანმა და თითქოს თვალებით მადლობა გადამიხადა...

და წავიდა... ნათელში იყოს მისი სული.

**ლელა წურწუმია:**

– ჩემო ძვირფასო მეგობარო, შენთან ერთად წავიდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ულამაზესი ნაწილი. ვერ გადმოგცემ ამ ტკივილს და დანაკლისს, ნათელში გამყოფოს უფალმა, მიყვარხარ გიო.

**ნეკა სებისკვერაძე:**

– გიო... რამხელა ტკივილია... რა დროს შენი წასვლა იყო, ყველაზე ხალისიანო და გულიანო...

**დავით მაზანაშვილი:**

– გიო, როგორ დამწყვიტე გული, შენ ხომ ყველა გიყვარდა და ყველას ეფერებოდი. ღმერთმა ნათელში გამყოფოს გიო. ჩვენ კი არასოდეს არ დაგვავიწყდები.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## თენგიზ უთმელიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

ანსამბლ „სუხიშვილების“ ოქროს ხანის მოცეკვავეს თენგიზ უთმელიძეს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს.

ვარსკვლავის გახსნამდე დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამო გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „სუხიშვილები“, „რუსთავი“, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ნართები“, ასევე ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი“, სამეჯლისო ცეკვების სტუდიამ „თელა“.

– ეს ჩემი ვარსკვლავი არ არის. ეს არის ქართული ცეკვის მოამაგეების ვარსკვლავი, რომლებიც გვერდში მყვანან. მიხარია, რომ ფასდებიან ამ ქვეყანაში ის ადამიანები, ვინც ქართულ კულტურას მიუძღვნა თავისი ცხოვრება, – განაცხადა თენგიზ უთმელიძემ.




80 წლის მოცეკვავემ მთელი თავისი ცხოვრება ქართულ კულტურას შეალია. იგი სუხიშვილების მოცეკვავის გარდა, ამ ანსამბლის ფოტომემატიანეც არის და ყველა მნიშვნელოვანი ფოტო ანსამბლის გასტროლების დროს, სწორედ ბატონი თენგიზის გადაღებულია. თენგიზ უთმელიძემ სუხიშვილების უნიკალური ფოტოები ეროვნულ არქივში გამოფინა და ქართული ცეკვის აკადემიური ანსამბლის XX საუკუნის 60-იან-70-იან წლების შემოქმედება დამთვალიერებელს გააცნო.

ფოტომატიანე აცოცხლებს ანსამბლის საგასტროლო ცხოვრებას, მოცეკვავეთა შეხვედრებს მსოფლიოს გამორჩენილ ადამიანებთან, იმ ყველაზე წარმატებულ პერიოდს, რასაც ანსამბლის დამაარსებელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნინო რამიშვილი „ოქროს ხანას“ უწოდებდა.

თენგიზ უთმელიძემ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს ეროვნულ არქივს საკუთარი კოლექციის ელექტრონული ვერსია გადასცეს და გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში სახელმწიფო ანსამბლის კონცერტების ვიზუალური მასალა კიდევ უფრო გაამდიდრებს ეროვნული არქივის მრავალფეროვან ფოტოკოლექციას.

ფოტოგამოფენა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს ეძღვნება და 19 მაისამდე გაგრძელდება. ექსპოზიციის დათვალიერება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

## „ბრუტუსის“ მსოფლიო პრემიერა ახმეტელის თეატრში გაიმართება




16 ივნისს ახმეტელის თეატრში მსოფლიო პრემიერა გაიმართება.

„ბრუტუსი ანუ იულიუს კეისრის მკვლელობა“ – ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც ცნობილი თურქი დრამატურგის, მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ლაურეატის თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესის „ბრუტუსი, ანუ იულიუს კეისრის მკვლელობა“ მიხედვით დაიდგა.

ეს არის მასშტაბური ქართულ-თურქული პროექტი, რომლის ფარგლებში თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესა „ბრუტუსი ანუ იულიუს კეისრის მკვლელობა“ ორ – ქართულ-თურქულ ენებზე წიგნად გამოიცემა.

თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესაში მოქმედების ადგილი თეატრია, აქ მთავარი მოქმედი პირია ბრუტუსი, ამიტომ ის მაყურებელს მიმართავს, „პიესის სახელწოდებას აფიშებზე ნახავდით. ის ბრუტუსით იწყება. „ბრუტუსი, ანუ იულიუს კეისრის მკვლელობა“... უცნაური შეკითხვები მებადება. ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ როლის წყალობით ხელმეორედ იშვას ბრუტუსი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოღალატედ ითვლებოდა, რისი მიზეზიც იყო შემდეგი წინადადება „შენც, ბრუტუს?!“

სპექტაკლის რეჟისორია ირაკლი გოგია, თარგმანი ნანა ჯანაშიას ეკუთვნის, მხატვრობა მარიკა კვაჭაძეს, ქორეოგრაფია გიორგი რაზმაძეს, რეჟისორის ასისტენტი გიორგი ყაულაშვილია, ტექნიკური რეჟისორი ვერიკო რუხაძე.

ერთმოქმედებიან სპექტაკლში მონაწილეობენ ანდრია გველესიანი, სოფია სებისკვერაძე, გიორგი გასვიანი, გიორგი ცხადაძე, მაიკო ვაწაძე, ოთარ ჩიქობავა, დემო კალანდაძე და ვერონიკა კალანდარიშვილი.

## თენგიზ მუშკუდიანი 91-ე დაბადების დღეს კონცერტით აღნიშნავს



12 ივნისს ცნობილ ოპერის მომღერალს და არაერთი თაობის აღმზრდელს თენგიზ მუშკუდიანს 91 წელი უსრულდება. დაბადების დღეს ხელოვანი კონსერვატორიაში გამართული კონცერტით აღნიშნავს.

მომღერალს საიუბილეო საღამოზე უმღერებენ ოპერის თეატრის სოლისტები, კონსერვატორიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რითაც მადლიერებას გამოხატავენ პედაგოგის მიმართ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

### სპორტი

## გარეთ ბეილი შესაძლოა რეალში დარჩეს



გარეტ ბეილი რეალში ახალი მწვრთნელის მოსვლას ელოდება და მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელოს თუ არა კარიერა რეალში.

ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ბეილმა არ დამალა, რომ ის პრემიერ ლიგაში დაბრუნებაზე ფიქრობს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ბეილის შეძენა ყველაზე მეტად მანჩესტერ იუნაიტედს სურს და მანჩესტერელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 150 მილიონი ევრო გადაიხადონ.

## პატრიკ ვიეირა ნიცას მთავარი მწვრთნელი გახდა



არსენალის ლეგენდარული ფეხბურთელი პატრიკ ვიეირა უკვე რამდენიმე წელია, რაც პროფესიონალი მწვრთნელია, თუმცა აქამდე ის მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობდა.

მომავალი სეზონიდან ვიეირა ნიცას მთავარი მწვრთნელი იქნება და ეს ინფორმაცია ფრანგულმა კლუბმა ოფიციალურად დაადასტურა.

ვიეირა ნიცაში ლუსიენ ფავრს შეცვლის, რომელიც დორტმუნდის ბორუსიაში გადაბარგდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მირიან ხუხუნაიშვილი ყველაზე პრესტიჟულ კონკურსზე საუკეთესო დირიჟორებს შორის მოხვდა



ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი მირიან ხუხუნაიშვილი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კონკურსზე საუკეთესო დირიჟორებს შორის დასახელდა:

– გიზიარებთ ჩემს დიდ სიხარულს! მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კონკურსზე 18 დირიჟორს შორის მოვხვდი...

რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურსის ფარგლებში ვუდირიჟორებ საფრანგეთის რადიოს ფილარმონიულ ორკესტრს პარიზში.

## რობერტ სტურუა: „მე ბრალსა მდებდნენ ეროვნული ქართული ტრადიციებიდან გადახვევაში“



წელს რეჟისორ რობერტ სტურუას 80 წელი უსრულდება. იუბილეს მაესტრო ზაფხულში აღნიშნავს.

80-წლიანი ცხოვრების განმავლობაში იუბილარს ბევრი სათქმელი დაუგროვდა, ამიტომაც მათ ეტაპობრივად იხსენებს:

– მე ბრალსა მდებდნენ გარეგნული ფორმებით გატაცებაში, მაგრამ თეატრი განა სანახაობა არ არის?..

მე ბრალსა მდებდნენ ეროვნული ქართული ტრადიციებიდან გადახვევაში, მაგრამ განა ქართული თეატრისათვის უცხოა ყველა დროის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი?..

მე ბრალსა მდებდნენ, რომ ჩემს ძიებაში მიწას ვწყდები, მაგრამ განა შეიძლება ასე იმსჯელო ფანტაზიაზე, რომელიც რეალობას ეფუძნება?!

მე ბევრ რამეში მდებდნენ ბრალს... ალბათ ოდესმე მომეკითხება...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 12 ივნისისთვის



**ვერძი** – თავს ნუ გამოიდებთ. მხოლოდ საკუთარ პრობლემებზე იზრუნეთ. **კურო** – ბავშვებისა და პოზიტიური ადამიანების გარემოცვაში მეტი დრო გაატარეთ. კვების რეჟიმს ნუ დაარღვევთ. **ტყუპები** – დაშვებულ შეცდომას თუ დღესვე გამოასწორებთ, მოგებული იქნებით. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – გაითვალისწინეთ წარსულის გამოცდილება. სპონტანურ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **ლომი** – ვარსკვლავები გწყალობენ. ბედს მიენდეთ და დამშვიდდით. **ქალწული** – ინტუიცია არ გიღალატებთ. ნებისმიერ სფეროში წარმატებას აღწევთ. **სასწორი** – არ გადაიღალოთ. აკეთეთ მხოლოდ ის საქმე, რომელიც თქვენთვის მომგებიანია. **ღრიანკალი** – ბედი გწყალობთ. მთავარია, საჭირო დროს საჭირო ადგილას მოხვდეთ. **მშვილდოსანი** – მიზანს ადვილად მიაღწევთ. თანამოაზრეებთან ერთად იმოქმედეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანს გულს ნუ გადაუშლით. ერიდეთ ხალხმრავლობას. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. შესაძლოა ახლობელმა გაწყენინოთ. მნიშვნელოვანი საქმის დაწყება არ ღირს. **თევზები** – კოლექტიური მუშაობა იღბლიანი იქნება. მარტო დიდხანს ნუ დარჩებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 2. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებებზე მითითება; 3. ეგრისის სამთავროს მთავარი ქალაქი; 4. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი; 8. ფინური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი, კენედისა და დალასის სახელობის აეროპორტების პროექტის ავტორი; 9. ნავთობპროდუქტების გასაწმენდად გამოყენებული მინერალი, მათეთრებელი თიხა; 11. მღვდლის ცოლი; 12. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 13. პურეული მცენარე; 16. ბაღის სასხლავი მაკრატელი; 17. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 19. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად:** 5. რაიმე მოვლენის დამახასიათებელი გარეგანი ნიშანი; 6. ორკესტრის ხელმძღვანელი; 7. ქართველ სახალხო მკურნალთა გვარი; 10. ერბოში ჩახარშული ყველით მომზადებული აჭარული კერძი; 13. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი; 15. სპორტის ტექნიკური სახეობა, მოტოციკლეტებით რბოლა ყინულზე ან წიდიან ბილიკზე; 18. ბრიტანული ყველი; 20. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 22. მათემატიკის ნაწილი; 23. სიტყვის თავსართი გრამატიკაში; 24. ველური ვაზი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ეპიდემია; 6. კანცლერი; 8. ილუმინატორი; 10. კუპლეტი; 11. ვატი; 12. ასანთი; 14. აკინი; 17. ავაზა; 19. ისიდა; 20. მენეჯერი; 21. იორი; 22. პილიგრიმი; 23. ნიმფები.

**შვეულად:** 1. ეპილოგი; 2. ინვალიდი; 3. ერლიფტი; 5. ერისიონი; 7. კომპასი; 9. მწვერვალი; 13. კალციტი; 15. კისელი; 16. კოლეტი; 18. პრიზი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სატირა; 2. რა; 3. იმპორტი; 4. პატრული; 5. შუკა; 6. აკინაკი; 7. კაა; 8. კაპრისი; 9. სტარტი; 10. დუნაი; 11. ტირანი; 12. მაცა; 13. ილიამნა; 14. ოდრი; 15. აგნი; 16. იაგანი; 17. ცე; 18. ემუ; 19. ლეგრანი; 20. მი; 21. შოპენი; 22. მონროვია; 23. გლინტვაინი; 24. შლაგერი; 25. სვავი; 26. კაპრონი; 27. კანონირი; 28. ავერსი; 29. იანკი; 30. ფრაკი.

**სურათებზე:** პამელა ანდერსონი; დანიელ აგერი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა მიქაიას ხსოვნას



ჩვენო მიმო, როგორ უცებ გავიდა ჩვენთან განშორების 40 დღე.

მოულოდნელად გამოგვეცალე... ნაადრევად დაგვტოვე. ვერ გიშველეთ, ვერ დაგეხმარეთ...

მიმოზა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დაუღალავად იღვწოდი ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვის, როგორც ჩვენი მამა – ექიმი პიმენ მიქაია.

იყავი ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული.

უყვარდი ყველას, ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს, კოლეგებს. იყავი ახლობლებისა და გაჭირვებულების გვერდში მდგომი, დედმამიშვილებისა და მათი შვილებისადმი მზრუნველი.

როგორი იმედი იყავი ყველასთვის და როგორი ტკივილი ხარ ახლა...

ჩვენ ვლოცულობთ შენი საამაყო მშობლების, შენი ლამაზი სულის ცხონებისა და გაბრწყინებისათვის.

გვჯერა, შენი ლამაზი სული არასდროს მიგვატოვებს.
შენს სახელს დავიწყება არ უწერია!

*სიყვარულით, სინანულით, გულისტკივილით, შენი დები*

## ელგუჯა პაპასქუას გახსენება



**გუჯა, გვაკლიხარ ყველას...**

რუსეთიდან ჩამოსულს, თბილისიდან სულ მიგეჩქარებოდა როგორც შენ ეძახდი დიდ სახლში – საგურამოში, მე და დედასაც ისე მიგვეჩქარება შენს სასაფლაოზე. დედას სულ იქ უნდა ყოფნა. უფალს სთხოვს შენთან წამოყვანას.

გესაუბრებით და ცრემლებით გიყვებით ამბებს. უნდა გაგიმხილო გუჯა, დედა მეზობელი ბიჭის დახმარებით, ერთხელ ტაქსით გაგვეპარა შენს საფლავზე – ვერ მიაგნო შენს განსასვენებელს. ვიცი, გვისაყვედურებ, ალბათ... გაუნელებელ ტკივილად დარჩები ჩემთვის სიცოცხლის ბოლომდე, რადგან ვერ მივუხვდი შენს გულს ჩივილს.

ელგუჯა, იმ იუბილეს, **13** ივნისს ვხვდებით შენს გარეშე, რომელსაც დიდი გეგმებითა და სიხარულით უნდა შეხვედროდი. **60** წელი – დღეს ყველაზე მეტად მიმძიმს, რადგან იუბილის გეგმებსა და სიურპრიზებზე ერთად ვსაუბრობდით, თუმცა, ახლო მეგობრებისთვისაც გაგვინდია შენი ჩანაფიქრი;

ულევი ენერგიის მფლობელი, ყოველი სიკეთის გამცემი, ყველასათვის გაჭირვების ტალკვესი (ჩემი ყველაზე მეტად), როგორ ხარ, ძმაო, გაჩერებული... ოჰ, გუჯა, რომ შემეძლოს... თუმცა, ბედისწერას ვერ გაექცევი. როცა ხსოვნის სადღეგრძელო ითქმის, კიდევ ერთი ნაღდი აფხაზი გახდა ხსოვნის ბინადარი – ნათელი ხსოვნა ამ ზნენათელი კაცისა – ეს სიტყვები ნაადრევია შენთვის და ძალიან მწარედ ჩამესმის...

„სიკვდილი – სიკვდილი რაა, სულის გაყრაა ცოდვილ სხეულთან“. ღმერთო, მაღალო, უნათე სული ელგუჯას და მიანიჭე ცათა სასუფეველი მარადიული. ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული, აწ და მარადის, ამინ!

შენი სული ზეცით იგრძნობს,
ჩემს ცრემლიან მილოცვას,
„**60**“ წლის იუბილეს
საფლავზე რომ გილოცავ.

*გულისტკივილით, ცრემლებით, შორენა*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

## გიორგი ქავთარაძე

პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონმა გიორგიმ პროფესიული და აკადემიური კარიერა ეტაპობრივად მის Alma Mater-ში – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განავითარა. სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – სამედიცინო უნვერსიტეტი) დამთავრებისთანავე მან სწავლა გააგრძელა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასპირანტურაში (1973 – 1977); იყო ამავე კათედრის ასისტენტი (1977-1989), დოცენტი (1989 – 1991), კათედრის (2006 წლიდან – დეპარტამენტის) ხელმძღვანელი (1991 – 2015).

სრულიად გამორჩეული და მნიშვნელოვანია ბატონი გიორგის წვლილი საქართველოში ფსიქოსომატური მედიცინის მიმართულების განვითარებაში. იგი 1985 წლიდან ხელმძღვანელობდა კლინიკური ფსიქოლოგიის ჯერ ლაბორატორიას, მოგვიანებით კი – ცენტრს. იგი იდგა ფსიქოსომატური მედიცინისა და ფსიქოთერაპიის ფაკულტეტის სათავეებთან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ფაქტობრივად განსაზღვრა ფაკულტეტის სასწავლო კონცეფციის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობდა მას, როგორც დეკანი 1996-2001 წლებში.

გიორგი ქავთარაძე ჩართული იყო დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებაში, ბრძანდებოდა რა ექიმ-ფსიქოთერაპევტთა სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი.

გიორგი ქავთარაძის, როგორც ექიმის, მკვლევარის და მასწავლებლის ავტორიტეტი იყო მაღალი, მისი აზრი – სანდო და დამაჯერებელი; იგი იყო საინტერესო ორატორი, სასურველი ოპონენტი – კომპეტენტური, კეთილმოსურნე და პრინციპული ერთდროულად. ასეთი სინთეზის დემონსტრირება კი მხოლოდ მაღალი განსწავლულობის ადამიანებს ძალუძთ.

ბატონი გიორგი 100-მდე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია; მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ორგინალური და აქტუალური სახელმძღვანელო „შინაგანი დაავადებების სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკა“ – სამაგიდო წიგნი მედიკოსთა კიდევ არაერთი თაობისათვის.

გიორგი ქავთარაძე წელს 70 წლის გახდებოდა... ეს სულაც არაა დიდი ასაკი; და მით უფრო სამწუხაროა მისი გარდაცვალება კოლეგების, მოსწავლეების, ახლობლებისა და მადლიერი პაციენტებისათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გულისტკივილით გემშვიდობებათ, ბატონო გოგი!

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია მწუხარებით იუწყება პროფესორ

## ეკა რაფავას

გარდაცვალების შესახებ. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეკა რაფავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა 1995 – 2005 წ.წ.

ქალბატონი ეკა მკვლევარად და პედაგოგად მის მშობლიურ უნივერსიტეტში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. იგი თსუ-ში მოღვაწეობდა 1968 წლიდან, ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდგომ – დოცენტად და პროფესორად.

1995 წლიდან იგი სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრაზე ეწეოდა. სწორედ აქ განაგრძო მან, ნაყოფიერ საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად, სამეცნიერო მუშაობა ისეთი მნიშვნელოვანი ბიოსამედიცინო მიმართულებებით, როგორიცაა ნეირონებისა და გლიური უჯრედების ბირთვების ჟანგვითი ფოსფორილირება და ატფ-აზური აქტივობა, ნეირონების ბირთვების რნმ-პოლიმერაზული აქტივობა პოსტნატალურ პერიოდში, მოგვიანებით – მცენარეული წყაროდან გამოყოფილი ლექტინების ბიოლოგიური მახასიათებლები და სხვ. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნებოდა ეკა რაფავას ათეულობით სამეცნიერო პუბლიკაცია, გამოქვეყნებული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

მეტად მნიშვნელოვანია ქალბატონი ეკას საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობა. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში (1986) და აშშ-ში (1990-91); ამ პერიოდის კვლევითი მუშაობის შედეგი არაერთი პუბლიკაციაა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.

ქალბატონი ეკას მოხსენებები მასშტაბურ სამეცნიერო ფორუმებზე, მისი ლექციები, წაკითხული ქართულ, ინგლისურ თუ გერმანულ ენებზე ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიზმით, დახვეწილობით, ინფორმაციულობით, სამეცნიერო სიახლის და ფუნდამენტური ცოდნის ორგანული გაჯერებით.

კომპეტენტურობა, კეთილმოსურნეობა, კორექტულობა, შინაგანი თავისუფლების მაღალი ხარისხი, შარმი – ეს ქალბატონი ეკა რაფავას ორგანული თვისებები იყო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მუდამ ემახსოვრება პროფესორი ეკა რაფავა და პატივს მიაგებს მის ხსოვნას.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და ადმინისტრაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

## ალექსანდრე გველესიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი 2006-2011 წ.წ.

ბატონმა ალექსანდრემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (მაშინ – სამედიცინო ინსტიტუტის) დამთავრების შემდგომ, 1979 წლიდან, პროფესიული დახელოვნება მოსკოვში გააგრძელა. 1988 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე გააგრძელა საქმიანობა. 2004-2006 წ.წ. იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ნეიროქირურგიის კლინიკის ხელმძღვანელია, 2006-2011 წ.წ. კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ათეულობით სამეცნიერო პუბლიკაცია, თითოეული მათგანი – ღირებული და მნიშვნელოვანი, მონაწილეობდა საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში, ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში – ეს ალექსანდრე გველესიანის აკადემიური და კვლევითი აქტივობის არასრული აღწერაა. მეტად მნიშვნელოვანია ბატონი ალექსანდრეს საერთაშორისო პროფესიული აქტივობა. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით განხორციელებულმა თანამშრომლობამ კლერმონ-ფერანის (საფრანგეთი) საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან ბევრი საინტერესო პროექტის რეალიზებას შეუწყო ხელი ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის მიმართულებით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად გამორჩეული იყო და ასეთად დარჩება ალექსანდრე გველესიანის პროფესიული კვალიფიკაცია. მისი ფუნდამენტური ცოდნის, საექიმო აზროვნების და ალღოს, პროფესიული უნარების, მისი, როგორც ექიმის, გადაფასება უბრალოდ შეუძლებელია.

ალექსანდრე გველესიანმა მხოლოდ 60 წელს გადააბიჯა. ეს პროფესიული სიმწიფის ასაკია და ამიტომაცაა განსაკუთრებით სამწუხარო მისი გარდაცვალება კოლეგების, ახლობლებისა და უამრავი მადლიერი პაციენტისათვის.

ალექსანდრე გველესიანის წასვლა შეუვსებელი დანაკლისია საქართველოს სამედიცინო საზოგადოებისათვის.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# რეკორდსმენი ბრაზილია და სიურპრიზების მოყვარული კოსტა რიკა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

კოსტა რიკა 3-ჯერ (1963, 1969, 1989) არის კონკაკაფის ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგი მეოთხედფინალია, რომელსაც წინა მუნდიალზე მიაღწია.

გზა რუსეთამდე კარგად გაიარა. კონკაკაფის შესარჩევ ეტაპზე მექსიკის, პანამის, ჰონდურასის, ამერიკისა და ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებებთან მოხვდა და მექსიკელთა შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავა. ამასთან, საკმაოდ დამაჯერებლად.

კოსტა რიკის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე 5-ჯერ მოხვდა, პირველად ეს 1990 წელს მოხდა. კოსტარიკელებმა საუკეთსო შედეგი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დააფიქსირეს – მეოთხედფინალში გავიდნენ და 11-მეტრიანების სერიაში ჰოლანდიასთან დამარცხდნენ. საერთოდაც, წინა ჩემპიონატზე კოსტა რიკამ ნამდვილი ფურორი მოახდინა.

კოსტა რიკის ეროვნული ნაკრების თავკაცი ოსკარ რამირესი გახლავთ. 53 წლის სპეციალისტი ეროვნულ გუნდს 2015 წლის აგვისტოდან წვრთნის. მანამდე იგი ალახუელენსეს თავკაცი გახლდათ. გუნდთან ერთად მან 2014 წელს ქვეყნის ჩემპიონატი და სუპერთასი მოიგო.

კოსტა რიკელთა მთავარ ძალად კეილორ ნავასი მიიჩნევა. იგი ბოლო 3 წელია მადრიდელთა კარს იცავს და სამეფო გუნდის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ.

ძნელად სავარაუდოა კოსტა რიკამ დიდ წარმატებას მიაღწიოს. სამხრეთამერიკელთა მაქსიმუმი ჯგუფიდან გასვლა უნდა იყოს, რადგან მათგან, სიურპრიზებსაც შეიძლება ველოდოთ.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** კეილორ ნავასი (რეალი), პატრიკ პემბერტონი (ალახუელენსე), ლეონელ მორეირა (ჰერედიანო);

**მცველები:** კრისტიან გამბოა (სელტიკი), იან სმიტი (ნორჩეპინგი), რონალდ მატარიტა (ნიუ იორკი), ბრაიან ოვიედო (სანდერლენდი), ოსკარ დუარტე (ესპანიოლი), ჯანკარლო გონსალესი (ბოლონია), ფრანსისკო კალვო (მინესოტა), კენდალ ვასტონი (ვანკუვერი), ჯონი აკოსტა (აგილასი);

**ნახევარმცველები:** დავიდ გუზმანი (პორტლენდი), იელსტინ ტეხედა (ლოზანა), სელსო ბორხესი (დეპორტივო), რანდალ აზოფეიფა (ჰერედიანო), როდნეი უოლასი (ნიუ იორკი), ბრაიან რუისი (სპორტინგი), დანიელ კოლინდრესი, კრისტიან ბოლანოსი (ორივე საპრისა);

**თავდამსხმელები:** იოჰან ვენეგასი (საპრისა), ჟოელ კემპბელი (ბეტისი), მარკო ურენა (ლოს ანჯელესი).

### სერბეთი

სერბეთის ფეხბურთის ფედერაცია 1919 წელს დაარსდა, ფიფას წევრი 1923 წლიდან არის. ადგილი ფიფას რეიტინგში – 35-ე. პირველი მატჩი ჩეხოსლოვაკიასთან 0:7 წააგო.

ყველაზე მეტი მატჩი დეიან სტანკოვიჩს (103) აქვს ჩატარებული, ხოლო ყველაზე მეტი გოლი სტეფან ბობეკს (38) გაუტანია.

სერბეთი ყოფილი იუგოსლავიის მემკვიდრეა და მისი ტიტულები ეთვლება. მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგი 1930 წელს დააფიქსირა – მე-3 ადგილი.

ევროპის ჩემპიონატზე კი საუკეთესო შედეგი ფინალისტობაა 1964 და 1968 წლებში.

სერბების გზა რუსეთამდე კარგად გვახსოვს. ბალკანელები საქართველოს ნაკრების ჯგუფში იყვნენ და ფინალის საგზური სწორედ ჩვენებთან საშინაო გამარჯვებისას მოიპოვეს. საქართველოს გარდა მეტოქეებად ირლანდიის, უელსის, ავსტრიისა და მოლდოვის ნაკრებები ჰყავდა.

სერბეთის ნაკრებს მლადენ კრსტაშიჩი წვრთნის. არადა, შესარჩევ ეტაპზე, სადაც გუნდმა წარმატებას მიაღწია, სლავოლიბ მუსლინი თავკაცობდა, რომელიც შემდეგ გარკვეულ მიზეზთა გამო გაათავისუფლეს.

ახალგაზრდა სპეციალისტს ისეთ გუნდებში უმუშავია, როგორებიცაა შალკე, პარტიზანი და ვერდერი. სწორედ ბრემენულ კლუბში მუშაობისას მიაღწია სერბმა ყველაზე დიდ წარმატებას – 2004 წელს ბუნდესლიგა მოიგო.

სერბთა მთავარი ვარსკვლავი ნემანია მატიჩი გახლავთ, რომელიც პრემიერლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია და მანჩესტერის ღირსებას იცავს. ტექნიკა, ძლიერი დარტყმა, მოედნის კარგი ხედვა – ეს თვისებები ახასიათებს.

ძნელი სავარაუდოა, სერბეთის ნაკრებმა რაიმე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიოს. ალბათ მეოთხედფინალი მაქსიმუმი იქნება. თუმცა, ვნახოთ, მუნდიალს სიუპრიზები უყვარს.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** ვლადიმირ სტოიკოვიჩი (პარტიზანი), პრედრაგ რაიკოვიჩი (მაკაბი), მარკო დმიტროვიჩი (ეიბარი);

**მცველები:** ალექსანდრ კოლაროვი (რომა), ანტონიო რუკავინა (ვილიარეალი), მილან როდიჩი (ცრვენა ზვეზდა), ბრანისლავ ივანოვიჩი (ზენიტი), უროშ სპაიჩი (კრასნოდარი), მილოშ ველკოვიჩი (ვერდერი), დუშკო ტოშიჩი (გუანჯოუ ფული), ნიკოლა მილენკოვიჩი (ფიორენტინა);

**ნახევარმცველები:** ნემანია მატიჩი (მანჩესტერი), ლუკა მილივოევიჩი (კრისტალ პალასი), მარკო გრუიჩი (კარდიფი), დუშან ტადიჩი (საუთჰემპტონი), ანდრია ჟივკოვიჩი (ბენფიკა), ფილიპ კოსტიჩი (ჰამბურგი), ნემანია რადონიჩი (ცრვენა ზვეზდა), სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩი (ლაციო), ადემ ლიაიჩი (ტორინო);

**თავდამსხმელები:** ალექსანდარ მიტროვიჩი (ფულჰემი), ალექსანდარ პრიიოვიჩი (პაოკი), ლუკა იოვიჩი (აინტრახტი).

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4538 |
| ევრო | 2.8815 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2869 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9029 |

## ამინდის პროგნოზი 12 ივნისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი“ დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**




ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## საბა კვერკველია შესაძლოა ლესტერში გადავიდეს



მოსკოვის ლოკომოტივის და საქართველოს ნაკრების მცველი საბა კვერკველია შესაძლოა ინგლისურ ლესტერში აღმოჩნდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლესტერი მზად არის, კვერკველიას ტრანსფერში 17 მილიონი ევრო გადაიხადოს. ლესტერის მხრიდან ინტერესი თვითონ საბამაც დაადასტურა, თუმცა ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია და მხოლოდ მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

– ეს ყველაფერი სიმართლეა და მომავალ სეზონში შესაძლოა ლესტერის ფეხბურთელი გავხდე, მაგრამ ჯერ ყველაფერი მოლაპარაკებების სტადიაზეა. ვნახოთ, რა იქნება მომავალში, – განაცხადა საბა კვერკველიამ.

## ჟერარ პიკემ მუხლის ტრავმა მიიღო



ჟერარ პიკემ ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ვარჯიში ნაადრევად დატოვა. პიკეს სავარაუდოდ მუხლის ტრავმა აქვს და ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენად სერიოზულია მისი დაზიანება.

ესპანეთის ნაკრები ამჟამად კრასნოდარში იმყოფება, სადაც შედგება კიდეც მისი პირველი შეხვედრა პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი 15 ივნისს გაიმართება და დიდ ინტერესს იწვევს, რადგან კრიშტიანო რონალდუ თავის თანაგუნდელებს დაუპირისპირდება რეალიდან.

ჟერარ პიკემ შესაძლოა პორტუგალიასთან შეხვედრა გამოტოვოს.

## სალაჰი: „არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა პირველ შეხვედრაში“



ეგვიპტელი ფეხბურთელი მოჰამედ სალაჰი კვლავინდებურად ტრავმის მოშუშებას ცდილობს და მან ეს თითქმის უკვე მოახერხა, მაგრამ ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ითამაშებს თუ არა სალაჰი 15 ივნისს ურუგვაის წინააღმდეგ.

სალაჰის თქმით, მის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლა შეუძლია:

– მხარი ჯერ კიდევ მაწუხებს. არ ვიცი. ვითამაშებ თუ არა ურუგვაისთან, თუმცა იმედი მაქვს. რომ მატჩის გამოტოვება არ მომიწევს. ეგვიპტეს ძლიერი ნაკრები ჰყავს და ჩვენ ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია. რუსეთის წინააღმდეგ აუცილებლად გამოვალ მოედანზე.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი, დედაშენის გასაშლელი საწოლი სამზარეულოდან ჩვენ ოთახში გადმოვიტანოთ, თორემ, რაღაც უხერხულია.

– რა თქმა უნდა, უხერხულია! მესამე ღამეა საჭმელს მალულად ველარ ხეთქავ!

•••

მაღაზიაში მყიდველი გამყიდველს ეკითხება:

– ეს გენმოდიფიცირებული სტაფილოა?

– არა, და რატომ კითხულობთ? – ეკითხება პასუხად გამყიდველი.

– დიახ, და რატომ კითხულობთ? – ეკითხება სტაფილო.

•••

მასწავლებელი კითხულობს:

– აბა, ბავშვებო, ვინ წაიკითხა თავიდან ბოლომდე „ვეფხისტყაოსანი“?

– რა, უნდა წაგვეკითხა? – კითხულობს გიგი.

– რა თქმა უნდა.

– აუუ, მე კი გადავწერე.

•••

ქმარმა სახლში პორნოფილმი მოიტანა და ცოლთან ერთად უყურებს. ცოტა ხანში ქმარი ცოლს ეუბნება:

– მომბეზრდა ამის ყურება, წავალ დავწვები...

ერთი საათის შემდეგ ქმარი ცოლს ეკითხება:

– დაწოლას აღარ აპირებ?

– დამაცადე, ძვირფასო, კინოს ბოლომდე ვუყურებ და დავწვები.

– რა ჯანდაბად უყურებ?

– მინდა გავიგო, ამ ყველაფრის შემდეგ კაცი ქალზე დაქორწინდება თუ არა...

•••

ცოლი ქმართან ოთახში შევიდა და ეუბნება:

– ადექი, ნაგავი გადაყარე!

ქმარმა მძიმედ ამოიხვნეშა და უპასუხა:

– ახლახან არ დავჯექი!

– და მანამდე რას აკეთებდი?

– ვიწექი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 2. ამერიკული პოლიტიკურ-ეკონომიკური ჟურნალი; 3. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 4. პოემა „გველისმჭამელის“ პერსონაჟი; 5. უზბეკეთის დედაქალაქი; 7. ღვინის მწარმოებელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 11. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 13. ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 15. აღმოსავლურ მუსიკალურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 16. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში. 19. მამათა მონასტერი.

**თარაზულად:** 6. ილია ჭავჭავაძის ლექსი; 8. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 9. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 10. რაიმეს შეცვლა, გარდაქმნა; 12. ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 14. პიპინაშვილის საბავშვო ფილმი; 17. მიწაში ბინადარი შხამიანი ობობა; 20. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 21. კომბინაცია პოკერში; 22. თავისავე ქონში ჩახრაკული გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 23. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

